ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 2 ოქტომბერი 2001 №187 (1460) | ფასი 50 თეთრი


# პოლიციამ დინამო გაყიდა

## ასპროცენტიანი ამბავი 90 და 10 პროცენტზე

*მორჩენილი საქმე* – საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" ახალ პატრონს ჩააბარეს. შეგახსენებთ, რომ წლეულს, თებერვალში, ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით „დინამოზე" შეფობა შსს-მ იკისრა, კლუბის ვალებიც გაისტუმრა და მის დაფინანსებასაც მიჰყო ხელი. გუნდს სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხები ხმარდებოდა, რაც დროებითი ღონისძიება იყო და ეს იქამდე გასტანდა, სანამ „დინამოს" ახალი ინვესტორი თუ პატრონი გამოუჩნდებოდა.

სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ჯერ უცნობია, თუ როგორ გაასხვისა შსს-მ თბილისის „დინამო", არადა, კლუბმა, როგორც ახლადდაფუძნებულმა შპს-მ, რეგისტრაცია წინა კვირას გაიარა. ყველაფერს მაშინ გაიგებთ, როცა საგანგებო პრეზენტაციაზე მოგიწვევენო, გვითხრა შსს-ს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. ერთი სიტყვით, თბილისის „დინამო" ახალი მეპატრონის ხელშია. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ „დინამოს" აქციათა 90 პროცენტის მფლობელი ერთ-ერთი უცხოური ფირმაა, რომელსაც ოფისი საქართველოშიც აქვს, ხოლო 10 პროცენტი სპორტსაზოგადოება „დინამოს" დარჩება, რომლის თავმჯდომარეც კახა თარგამაძეა.

უცხოური კომპანია იმ თანხებს დაფარავს, რაც „დინამოს" შსს-მ მოახმარა, ხოლო გარანტად თავისი პროექტები აქვს წარმოდგენილი – აი, ასე გაიყიდა „დინამო".

გარიგების სხვა დეტალები ჯერ უცნობია. ოფიციალურად არ თქმულა ისიც, თუ ვინ დგას უცხოური ფირმის უკან. სამაგიეროდ, გაცხადებულია, რომ კლუბში დანიშნული პრეზიდენტი კვლავ რევაზ არველაძე იქნება.

**დავით თამართქილაძე**



„დინამო" — „ტორპედო" 0:2. ქუთაისელთა მეკარე დავით გვარამაძემ დინამოელ მიხეილ ბობოხიძეს (№11) დაასწრო

ბადრი კოპალიანის ფოტო

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

### 9 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 8 | 1 | 0 | 22:2 | 25 |
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 0 | 2 | 20:6 | 21 |
| მერანი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:11 | 19 |
| ბათუმი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:5 | 17 |
| კოლხეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:14 | 14 |
| დინამო | 9 | 4 | 1 | 4 | 18:10 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| სიონი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:17 | 8 |
| გურია | 9 | 1 | 4 | 4 | 5:10 | 7 |
| სამგურალი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:18 | 7 |
| გორდა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | 5 |
| მეტალურგი | 9 | 0 | 3 | 6 | 3:20 | 3 |

# ხელია, კვარაცხელია!

## პოროშინმა „ტორპედოს" „დინამოს" დამარცხება სალაპარაკო გაუხადა

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები

# საქართველო ბუქარესტში: უნემსოდ? უკბილოდ! უპიროდ?!

## ხიზანიშვილი კომადან გამოვიდა და ბუქარესტში მიდის

**თუ** არაფერი შეიცვალა, 6 ოქტომბერს ბუქარესტში საქართველოს ნაკრები რუმინეთისას, ალბათ, ვერც უჩხვლეტს და ვერც კბილს დაატყობს.

ისე ჩანს, საშაბათოდ ალექსანდრე ჩივაძე ტყუპ არველაძეებს ვერ დაიხმარს და საეჭვოა, საყრდენმა გიორგი ნემსაძემაც უკაპიტნოს ეროვნულ გუნდს.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, კიჭები ბუქარესტში ვერ ჩავლენ: არჩილი ტრავმირებულია და „კიოლნშიც" არ განუახლებია თამაში, რის გამოც სარუმინეთო 20-კაცაში არც უხმეს. შოთას რუმინეთში ჩაუსვლელობის მიზეზი კი სხვაგვარია — „აიაქსიდან" შოტლანდიურ „რეინჯერსში" ერთი თვის წინ გადასულმა თავდამსხმელმა ტრავმაც მოიშუშა, ვარჯიშობს კიდეც, მაგრამ რაკი ახალი გუნდის თავკაცი დიკ ადვოკაატი დებიუტს (თანაც ძირითად შემადგენლობაში) დაჰპირებია, ისიც შოტლანდიის პრემიერლიგის მორიგი ტურისთვის მზადებას განაგრძობს.

ტყუპთაგან განსხვავებით, ბუქარესტში ნამდვილად ჩავა გიორგი ნემსაძე, რომელიც შაბათს ორმატჩიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა „დანდის", მაგრამ ტრავმის გამო 75-ე წუთზე ისევ შესაცვლელი შეიქნა.

ეგაა, ნემსაძის საქმე ბევრად უფრო რთულადაა: შვეიცარიელი ექიმების დიაგნოზით მისი ნამენისკარი მუხლი ხელახლა საოპერაციო ყოფილა, რაც ფეხბურთს 3-4 თვით მაინც ჩამოაშორებს. ამის გამო კაპიტანი ოპერაციას არ ჩქარობს, თავს ძალას ატანს და ბუქარესტშიც შეძლებს თუ არა თამაშს, ამას იქ ჩასულიღა გაარკვევს.

ცოტა დააკლდა, ნაკრებში კიდევ ერთი დანდელის თამაში და ჯანმრთელობაც ეჭქვეშ არ დადმდგარიყო.

„აბერდინთან" 1:4 წაგებული მატჩის ბოლოს ზურაბ ხიზანიშვილს მეტოქე მიეპარა და საფეთქელში ისე ჩასცხო, მინდვრიდან გასახდელში, გასახდელიდან კი კინაღამ ჰოსპიტალში გაისტუმრა.

— ცოტა ხნით ადრე მეტოქის საჯარიმო დარტყმისას მე და ეუჯენ დალი ვჭიდაობდით, მსაჯმა სიტყვიერად გაგვაფრთხილა. ეს იყო და, ჯარიმის შემდეგ ცენტრისკენ ავრბოდი, როცა ფრანგი უკნიდან მომეპარა და არც მახსოვს რა მიყო, ისე გამთიშა — გვითხრა გუშინ ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელსაც გზად ბუქარესტისკენ ლონდონში მყოფს ტელეფონით დავუკავშირდით.

— 10-15 წუთი გათიშული ვიყავი, გონს გასახდელშიღა, ყინულებდადებული მოვედი და ექიმთა თქმით, ტვინის შერყევასაც გადავრჩი და სხვა რაიმე გართულებასაც. ახლა თავს კარგად ვგრძნობ — ეს ტრავმა რუმინელებთან თამაშში ხელს არ შემიშლის.

ხიზანიშვილის ასე უმოწყალოდ გამწირველი დადი არბიტრს თურმე არც კი გაუფრთხილებია, რადგან ეს მომენტი ვერც მას, ვერც ტელეოპერატორებს ვერ დაუნახავთ. თავად ზურასაც მომხდარზე გიორგი ნემსაძემ უამბო, რომელიც იმ მომენტისთვის შეცვლილი იყო და თამაშს თვალს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა.

ნემსაძეც და ხიზანიშვილიც ნარუმინეთევს „დანდიში" დაბრუნებას და 13 ოქტომბერს „დანფერმლაინთან" თამაშს აპირებენ. გლაზგოს „რეინჯერსიც" „კილმარნოკს" მომდევნო ტურში სწორედ 13 ოქტომბერს ეთამაშება.

იმის თაობაზე, თუ ვის დაიმატებს, ან დაიმატებს თუ არა საერთოდ ვინმეს უშოთაო ნაკრები, ალექსანდრე ჩივაძეს ჯერ არაფერი განუცხადებია. ამის გარკვევამდე კი ერთს დავძენთ, შოთა არველაძის მსგავსად საკლუბო ინტერესების წინ დამყენებელი გიორგი დემეტრაძე ბუქარესტში ვერჩასვლის თაობაზე ადრევე შეუთანხმდა სფფ-ს და ჩივაძეს, შოთას საბოლოო პასუხი კი ფედერაციაში ჯერაც არ იციან.

— შოთა არველაძე არც თავად შეგვხმიანებია და ვერც ჩვენ დავუკავშირდით, თუმცა ვიცით, რომ ბუქარესტში ვერ ჩამოვა — გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ, მამუკა კვარაცხელიამ.

ნაკრების ხელმძღვანელობამ შოთას ერთხელ უკვე გაუგო, როცა ლიტვასთან ბოლო წუთზე ტრავმირებული შეუშვა მინდორზე, რათა ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტში სანაკრებო მატჩების ლიმიტზე პრობლემა არ შექმნოდა. გაუგებენ მეორედაც? ვნახოთ.

**ვახტანგ ბჟიკაძე**



ზურაბ ხიზანიშვილი

ნუგზარ კოპალიანის ფოტო

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი 13 პირველი ეტაპი

# 9 ტური

# სიბრძნე სიცრუისა

## პოროშინმა ფედერაცია გაახელა

თბილისი. 1 ოქტომბერი. 16.00 საათი. ეროვნული. 2 500 (ტევადობა 70 600)

### დინამო 0:2 ტორპედო

0:1, 0:2 პოროშინი (39, 66)

22 გაბელია
მწვრთნელი: გივი ნოდია
7 მანწკავა, 5 შაშიაშვილი, 4 ვაშაკიძე, 2 შავგულიძე
8 ბურდული, 3 ამისულაშვილი, 9 დარასელია, 6 ა. სახვაძე
11 ბობოხიძე, 10 მიკუჩაძე

19 პოროშინი, 9 ქუთათელაძე
2 იონანიძე
5 თოდუა, 13 ლაშა სილაგაძე, 6 ქემოკლიძე, 4 დიდავა
3 მახვილაძე, 12 აბრამიძე
24 ხვადაგიანი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
1 გვარამაძე

შეცვლა: მიკუჩაძე — 20. გ. ვ. მიქაძე (46), ქუთათელაძე — 15. ახალკაცი (67), მანწკავა — 17. სვანიძე (72), შავგულიძე — 16. კანდელაკი (74), იონანიძე — 8. ბაბუნაშვილი (84), პოროშინი — 11. გვირჯიშვილი (90)

გაფრთხილება: ბურდული (58), მახვილაძე (66), პოროშინი (63)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 28 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 2 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 1 |

კობა ინასარიძე

„დინამო" — „ტორპედოს" მატჩი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მაშინაც, როცა „დინამო" ჩემპიონატის დაწყებამდეც უდავო ფავორიტად ითვლებოდა და დღესაც, როცა ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა, ამ ორი გუნდის შეხვედრა ტურის ცენტრალურ მატჩადაა მიჩნეული. და ეს იმ დროს, როცა ორი წელიწადია, მათი ურთიერთშეხვედრისას უპირატესობას „ტორპედოს" ანიჭებენ და სამართლიანადაც.

სტატისტიკა მეტყველებს: თბილისში ნათამაშევი 13 მატჩიდან „ტორპედოს" მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული. მასპინძლებს — 9. ფრედ თბილისური მატჩებიდან 3 დამთავრებულა.

საამატჩო პროგნოზი მეტად საძნელო საქმე იყო. ბოლო ორ შეხვედრაში „დინამომ" ჯერ „მერანი" გაანადგურა, მერე სტუმრად „სამგურალს" გუშინდელი მატჩის არბიტრ სერგო კვარაცხელიას მსაჯობით აჯობა. „ტორპედომ" „მეტალურგს" სტუმრად 3:0 სძლია, შინ კი „ვიტ ჯორჯიასთან" პირველად ამ სეზონში, ვერ გაიმარჯვა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, „დინამო" ქუთაისელებისგან სამ ქულას თუ არა, ქულას მაინც უნდა გამორჩენოდა. არაფერი მსგავსი, „ტორპედოს" მწვრთნელის არ იყოს, სტუმრებმა თბილისელებს ჭკვიანურად მოუგეს.

„ტორპედომ" მასპინძლებთან შვიდი მცველით და სამი თავდამსხმელით ითამაშა, თუმც მცველთაგან სამი იყო აშკარად მცველი, ოთხი კი წინ წაწეულ იონანიძესთან ერთად შუა ხაზს ამაგრებდა. „დინამომ" კლასიკური 4-4-2 ითამაშა, მაგრამ ჩამშლელმა ამისულაშვილმა „ტორპედოს" იერიშებს ვერაფერი დააკლო, შემქმნელმა დარასელიამ კი თავისიანთ ვერაფერი არგო იმ ერთი საჯარიმოს გარდა, ბურთი „ტორპედოს" კარის ცხრიანს რომ დაუმიზნა და გვარამაძემ ხარიხის დახმარებით მოიგერია.

უინტერესო და მოსაწყენი გამოდგა პრინციპულ მეტოქეთა მატჩი და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ „ტორპედოს" ბასტიონს „დინამომ" ვერაფერი მოუხერხა. 38-ე წუთამდე უპირატესობა თითქოს მასპინძლებისა იყო, მაგრამ რად გინდა, კარის მიმართულებით მათ ერთხელაც ვერ დაარტყეს. სამაგიეროდ, თამაშის წესებს ხშირად არღვევდნენ.

38-ე წუთი ფატალური გამოდგა მასპინძელთათვის. მოედნის „დინამოს" ნახევრის შუაში მასპინძლები დაჯარიმდნენ. იოანანიძემ ბურთი თბილისელთა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი, როგორც ბევრს დაუნახავს, სტუმართა ლეგიონერ პოროშინს ბურთი კარში თავით არა და, ხელით შეუგდია. არბიტრმა კვარაცხელიამ, რომელმაც, როგორც ამბობენ, წინა ტურში „სამგურალთან" შეხვედრაში, „დინამოს" კარში ნაღდი პენალტი არ დაუნიშნავს, ხელი ცენტრისკენ გაიშვირა — 0:1. დინამოელები კვარაცხელიას, მერე ცირდავასაც კი ეტაკნენ, მაგრამ როგორ შეცვლიდა მსაჯი თავის გადაწყვეტილებას, აბა, ამას რა ლაპარაკი უნდა.

გახელებული ეკვეთა „დინამო" სტუმარს. აქედან, იქიდან, მაგრამ საჯარიმოში ვერაფრით შეაღწია, თუმც ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე უმნიშვნელო ჯარიმის გარდა მსაჯმა „დინამოს" სტუმართათვის მეტად სახიფათო ადგილიდან მისცა ჯარიმის დარტყმის უფლება. დარასელიამ მოჭრილი დარტყმით ბურთი ცხრიანისკენ მოჭრა, მაგრამ გვარამაძემ იყოჩაღა, და „ტორპედო" გადაარჩინა. მეკარის მოგერიებული ბურთი ხარიხას მოხვდა და ერთ-ერთი ქუთაისელისგან კუთხურზე გადაგორდა.

დამთავრდა ტაიმი. „დინამოს" მწვრთნელმა მიკუჩაძეს, რომელიც შესვენებამდე პასიურობდა, მიქაძე ამჯობინა, თუმც ამ ცვლილებამ მას ვერაფერი არგო. „ტორპედომ" მასპინძლები საკუთარ კარს არ გააკარა, ფლანგებიდან ჩაწოდებული ბურთები კი გვარამაძის ხელებს არ სცდებოდა.

66-ე წუთზე გაირკვა, რომ „ტორპედო" თბილისში მეორედ დაამარცხებდა „დინამოს". იონანიძე, რომელმაც მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე ღირებული ვერაფერი შექმნა, მაინც ტვირთი გამოდგა მასპინძელთათვის — მარჯვენა ფლანგზე ისე მოკურცხლა, მისი გამჩერებელი არავინ იყო, მანაც კარის გასწვრივ ჩააწოდა, მოედანზე ახალშესულმა ახალკაცმა ბურთი გაატარა, კარის შორეულ კუთხესთან კი, საფეხბურთო ტერმინით, ბურთი პოროშინმა „ჩაკეტა" და მეორეც გაიტანა. ყოველგვარი აზარტი გაქრა. „დინამო" წაგებას შეეგუა. აშკარაა, გუნდს თავდამსხმელი აკლია და... ტრავმირებული ფეხბურთელები. გივი ნოდია ხშირად იძულებული ხდება, რომელიმე ფეხბურთელს ამპლუა შეუცვალოს, როგორც მაგალითად შავგულიძეს, რომელიც მარცხენა მცველად ათამაშა და საიდანაც იონანიძემ, მეორე გოლისას გაინავარდა.

***რევაზ ძოძუაშვილი, „ტორპედოს" მწვრთნელი:***

— ჩვენთვის უმძიმესი ფსიქოლოგიური გამოცდა იყო. როგორია, „დინამოსთან" თბილისში თამაში? კარგია, რომ ყველაფერი „ტორპედოს" სასიკეთოდ დამთავრდა. მეტოქეს სიბრძნის ხარჯზე ვაჯობეთ. გუნდში მეტი გამოცდილი ფეხბურთელი გვყავს და თამაშისას აქცენტი დაცვაზე გვქონდა.

***გივი ნოდია, „დინამოს" მწვრთნელი:***

— თავდამსხმელების თამაშით ვარ უკმაყოფილო. ისე ვერ ვუტევდით, როგორც მსურდა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. „ტორპედომ" დაცვაში ჩინებულად ითამაშა, თუმც დარასელიას საჯარიმოდან დარტყმული რომ გაეტანა, ვინ იცის, მატჩი როგორ დასრულდებოდა. ყოჩაღ გვარამაძეს. მიკუჩაძემ სუსტად ითამაშა და იმიტომ გამოვცვალეთ. მანწკავას კი შეეძლო მეორე გოლისას ჩვენი გადარჩენა. არა უშავს, „დინამო" სწორი გზით მიდის. უახლოეს მომავალში ზირაქიშვილიც დაგვემატება და თავდასხმაში კონკურენცია გაიზრდება. პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენ ვნახეთ პირველი გოლის ეპიზოდი და... პოროშინმა, მგონი, ხელით ითამაშა.

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

1 ოქტომბერს მე-13 ეროვნული ჩემპიონატის მე-9 ტურის „დინამო" — „ტორპედოს" მატჩისას, სტუმარმა პოროშინმა 37-ე წუთზე ხელით გაიტანა გოლი მასპინძელთა კარში. მატჩის არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ დაუშვა უნებლიე შეცდომა, ვერ დააფიქსირა წესების დარღვევა და ჩათვალა გოლი.

მატჩის დამთავრებისთანავე სფფ-ში თამაშის ფირის არაერთი ნახვის შემდეგ სფფ-მ გადაწყვიტა: საზალხოდ მოიხადოს ბოდიში თბილისის „დინამოსა" და გულშემატკივრების წინაშე. ბოდიშს უხდის კლუბსა და მის მხარდამჭერთ ფიფა-ს არბიტრი სერგო კვარაცხელია.

სფფ-ს გადაწყვეტილებით კვარაცხელიას საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ს მსაჯთა საექსპერტო კომისიას.

რაც შეეხება „ტორპედოს" ფეხბურთელს პოროშინს, რომელმაც დაარღვია ფეირ პლეის პრინციპები და შეგნებულად ხელით გაიტანა გოლი, მისი საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ის სადისციპლინო კოლეგიას, რომლის უახლოესი სხდომაც 3 ოქტომბერს გაიმართება.

თბილისი. 30 სექტემბერი. 17.30 საათი. შევარდენი. 300 (ტევადობა 3 000)

### მერანი 4:0 სამგურალი

1:0, 2:0 შენგელია (3,31), 3:0 დავითაშვილი (48), 4:0 ბოლქვაძე (56)

12 გაბელია
მწვრთნელი: ოთარ გაბელია
3 გუჯაბიძე
2 გოგიტაძე, 4. ზ. ცქიფურიშვილი
5 დევიძე, 15 ბოლქვაძე, 16 მუხინი, 13 ი. შენგელია
8 ბაჯელიძე
10 გაგუა
7 დავითაშვილი

10 გ.ა. მიქაძე
8 ხუნდაძე
15 ვაჩიბერაძე, 20 კ. ჯანაშია, 23 შ. ღონღაძე, 22 ნებიერიძე
2 ბერაძე
16 ქელიძე, 24 ბანძელაძე
18 ჯინჭარაძე
მწვრთნელი: გია გოგატაძე
1 ბოდოკია

შეცვლა: მუხინი — 17. კვეკვესკირი (34), ნებიერიძე — 16. კაკაიძე (46), ქელიძე — 21. ცომაია (57), მიქაძე — 19. ჯიქია (65), ბოლქვაძე — 11. ივერიანი (74), ცქიფურიშვილი — 9. ხიზანიშვილი (83)

გაფრთხილება: მუხინი (15), ქელიძე (26), კვეკვესკირი (36)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

| | | |
|---|---|---|
| 8 | ჯარიმა | 7 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 5 |
| 5 | თამაშგარე | 2 |

## მერანული კვარტეტი და იმერული ზერო

დავით თავართქილაძე

**მიუდგომელ,** ფაქტობრივად უტრიბუნოდ დარჩენილ „შევარდენის" სტადიონზე გაუწიეს მერანელებმა იმერლებს მასპინძლობა. მიუხედავად ამისა, ოთარ გაბელიას გუნდს ერთი-ორი ავჭალელი ფანი მაინც გაჰყვა ქალაქის მეორე ბოლოში და მშობლიურ უბანში კმაყოფილიც დაბრუნდებოდა — ორი წაგების და ცხრა გაშვებული გოლის შემდეგ „მერანი" წელში გაიმართა, „სამგურალს" ბდღვირი ადინა. წყალტუბოელებისგან უკეთესს ველოდით, მაგრამ გია გოგატაძის დამოძღვრილი გუნდი პერიოდულად თუ ამჟღავნებს ბრძოლისუნარიანობას, თანაც სტუმრად თამაში მეტად უჭირს.

ვერ ვიტყვით, რომ „მერანმა" დასაწყისში ისე შეუტია, თითქოს სწრაფი გოლის გატანა ძალიან უნდოდა. უბრალოდ, ირაკლი შენგელიამ მარცხენა ფლანგზე ორი მეტოქე მოხდენილად ჩამოიცილა და საჯარიმოში შესულმა თედო ბოდოკიას შორეულ კუთხეში გაუტანა. შემდეგ შეტევაში ჩართული გოჩა გუჯაბიძის დახმარებით სულიკო დავითაშვილი აღმოჩნდა სტუმართა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ოდნავ მახვილი კუთხიდან მიზანი ვერ გაასწორა.

„სამგურალმა" სცადა პასუხის გაცემა, თუმც მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბურთს მოედნის ცენტრში არცთუ ურიგოდ აგორებდა, მაგრამ თამაშს ვერ ამწვავებდა. ინიციატივის საკუთარ თავზე აღებას მამუკა ხუნდაძე ცდილობდა, ბევრს მოძრაობდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. უნდა აღინიშნოს მერანელთა ლიბეროს, მრავალნაცადი გოჩა გუჯაბიძის დამაჯერებელი თამაში — ეს 30 წლის მცველი ამ სეზონში წინანდელზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

მეორე გატანილი გოლისას შენგელია „სამგურალის" კარს უკვე მარჯვნიდან მიუდგა, მეტოქე მცველთა გარემოცვაში მყოფმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, თითქოსდა უხერხული მდგომარეობიდან მშვიდად შეუცურა ბურთი ბოდოკიას ახლო ძელთან.

„სამგურალს" ყურები არ ჩამოუყრია, კვლავაც იბრძოდა, თუმც არცთუ ისე შმაგად. ვაჩიბერაძის მარცხნიდან ჩაწოდებულზე მიქაძემ მერანელ მცველებს კი დაასწრო, მაგრამ თავური არაზუსტი გამოუვიდა — ეს იყო სტუმართა ერთადერთი მწვავე იერიში პირველ ტაიმში მერანელთა კარზე.

შესვენების შემდეგ „მერანმა" კვლავ სამ წუთში დაამწუხრა „სამგურალი". ზაზა კვეკვესკირის სოლო რეიდი ბოდოკიამ კი შეაჩერა, მაგრამ დავითაშვილს დამატებაზე ცარიელ კარში მოუხდა ბურთის შეგდება. „აბრეზამ" მალე საგოლე გადაცემაც შეასრულა რითაც ბოლქვაძემ ისარგებლა — „სამგურალის" მცველებმა იმ ეპიზოდში დიდი დაუდევრობა და უჯიგრობა გამოიჩინეს.

აი, ბოლოში კი როგორც იქნა გამოცოცხლდნენ წყალტუბოელები. პრესტიჟის გოლის გატანა მართლაც გულით ეწადათ. ჯერ ჯიქიას თავური და ძელს გარტყმული ბურთი იყო, მერე ხუნდაძის პასით ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფმა კახა ჯანაშიამ ვერ იყოჩაღა, ბოლოს კი გიორგი გაბელიამ მამამისის დარი ნახტომით გააუვნებელა ჯანაშიას ოციოდ მეტრიდან გასროლილი.

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა.

VIII ტური

ალენი 2:5 ჰანოვერი

### შვედეთი

XXIII ტური

გიოტებორგი 1:1 იორგრიტე

ნორჩიოპინგი 0:3 ჰალმსტადი

ჰამარბი 4:1 მალმიო

### პორტუგალია

I ლიგა. VII ტური

მარიტიმუ 2:1 ჟილ ვისენტე

სპორტინგი 5:0 გიმარაეში

### ჩეხეთი

IX ტური

ლიბერეცი 1:1 დრნოვიცე

### შვეიცარია

სერია A. XIII ტური

სერვეტი 1:4 ბაზელი

### იტალია

სერია B. VI ტური

სიენა 2:1 სალერნიტანა

### ფინეთი

XXII ტური

ჰიკ 4:1 ატლანტისი

# კარნევალი ქულით გააცილეს

მცხეთა. 30 სექტემბერი. 17.30 საათი. არმაზი. 1 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:1 კოლხეთი

1:0 ადამია (45), 1:1 ფანჩულიძე (58)
გოგობერიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (84, მეკარე)

მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

25 მამარდაშვილი
4 კობიაშვილი, 24 ინწკირველი, 5 მუჯირი
14 დ. დოლიძე, 9 ლ. ნოზაძე, 23 თედორაძე, 17 კ. სვანიძე
7 გოგობერიშვილი
22 ადამია, 16 წუწუნავა

8 წივწივაძე
17 მუმლაძე
10 ფანჩულიძე, 18 კ. კვეტენაძე, 9 ე. გვასალია
11 კვირკველია
4 მიქელთაძე
2 გოროზია, 3 ტორჩინავა
14 ქუტიძე
1 მ. გვასალია

მწვრთნელი: ზაზა გურიელიძე

**შეცვლა:** სვანიძე — 20. ზ. მეტრეველი (60), კვირკველია — 15. ავობია (71), ინწკირველი — 10. ვ. გოჩაშვილი (74), გოროზია — 5. მ. ქობულაძე (76), წუწუნავა — 8. მ. ცხოვრებაშვილი (85), კვეტენაძე — 7. კრასოვსკი (88)

**გაფრთხილება:** წუწუნავა (29), კვეტენაძე (30)

**გაძევება:** დოლიძე (70), ფანჩულიძე (70)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ი. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი; ა. კრიჭაშვილი (სამივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

| | | |
|---|---|---|
| 18 | ჯარიმა | 28 |
| 1 | კუთხური | 6 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 7 | თამაშგარე | 1 |

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

**დასასვლელად** გამზადებულ ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯიამ“ თხოვნა სანახევროდ შეუსრულა — არ წააგეს „კოლხეთთან“ ვიტელებმა. გუშინწინ მცხეთაში დაფიქსირებული ფრე მატჩის ლოგიკური დასასრული ნამდვილად არ იყო, მაგრამ, ალბათ, ასე სჯობდა სტუმარ-მასპინძლისთვის და ბოლო დღეებში მადლობად დალვრილი იტალიელისთვისაც.

ბევრი ინერვიულა კარნევალიმ, მოედნის კიდედან დაუღალავად აგულიანა თავისი ბიჭები. ემოციურიც იყო მასპინძელთა თავკაცი, მაგრამ მისმა მოწინაალმდეგე კოლეგამ და „კოლხეთმა“ არ ინდომეს მატჩის დათმობა.

„ბედნიერებას გისურვებთ, სინიორ ჯანი, გამარჯვებებისთვის კი ამიერიდან მიგელწიოთ“ — ასე დაემშვიდობა სოსო ფილია კარნევალის. გაღიმებულებმა გადაკოცნეს ერთმანეთი. მე კი მომეჩვენა, რომ ორიდან ერთს გულწრფელობა ღალატობდა.

ასე თუ ისე, გაცილება შედგა. კარნევალი კი მაინც გულდაწყვეტილი იყო. ვერ ითამაშა მისმა გუნდმა ისე, რომ მწვრთნელი სამშობლოში წელგამართული გამგზავრებულიყო.

პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთამდე მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. უპირატესობა თავიდან სტუმრებმა იგდეს ხელთ. მერე მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს, თუმც არც „კოლხეთს“ და არც „ვიტ ჯორჯიას“ კარში ბურთი არ დაურტყამთ. იყო მხოლოდ ბრძოლა და ორივე მეტოქის გაუთავებელი კამათი მსაჯთან.

ბოლო წუთზე კი ვეტერინარებმა გოლი არაფრისგან შექმნეს. საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს სტუმართა მარცხენაფლანგელი კვირკველია უხერხულად შეეგება. ვერც ფეხით, ვერც თავით ბურთის მოგერიება ვერ შეძლო, მზემაც თვალები მოსჭრა, იქვე დადარაჯებულმა ადამიამ კი შანსი ხელიდან არ გაუშვა — მამუკა გვასალიასთან პირისპირ გასულმა აულელვებლად გაიტანა.

...მეორე ტაიმში მართლაც ფეხბურთი იყო. „კოლხეთი“ მეტოქეზე კონცენტრირებული ჩანდა. სტუმრებმა გაცილებით დალაგებული და ტაქტიკურად გამართული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. მათი მარჯვენაფლანგელი გელა ფანჩულიძე კი საერთოდ ვერ დააკავეს ვიტელებმა და მისი გოლიც იმ კონტრშეტევების ლოგიკური დასასრული გახლდათ, „კოლხეთი“ რომ წამოიწყებდა ხოლმე. კვეტენაძემ მოედნის ცენტრიდან წივწივაძეს ჩააწოდა, ამან მარჯვნივ გვასალიას მიაწოდა ბურთი. ელდარმა ერთი შეხებით საჯარიმოში ჩაჰკიდა და... ბურთი დოლიძეს თავზე გადაევლო, ხოლო ფანჩულიძის შეუჩერებლივ დარტყმულს მეკარემ ვერაფერი მოუხერხა.

ამის შემდეგ ორივე გუნდს მართებდა გატანა. სტუმარ-მასპინძელმა რამდენიმე რეალური მომენტი გააცუდა, ისეთიც, თითქმის ასპროცენტიანი რომ ეთქმის. ჯერ წივწივაძემ ვერ ისარგებლა მამარდაშვილის შეცდომით და უმეკაროდ, მცველის ამარა დარჩენილ მასპინძელთა კარში გოლი ვერ გაიტანა. თავდამსხმელის დარტყმული ბურთი ჯაბა მუჯირს მოხვდა.

„ვიტ ჯორჯიამ“ სულაც პენალტი ვერ გაიტანა. უფრო სწორად, გუნდის კაპიტანმა გოგობერიშვილმა. მას მეკარე მამუკა გვასალიამ აჯობა.

ბოლოს მატჩის ყველაზე სადავო მომენტზეც ვთქვათ. 70-ე წუთი იყო, მასპინძელმა დოლიძემ ფლანგზე ფანჩულიძის მოტყუება რომ მოინდომა და გამოუვიდა. კოლხმა წამით დააგვიანა და ფეხი ბურთის ნაცვლად მასპინძლის ფეხებს უსწორა. წაიქცა დოლიძე, თუმც წამსვე ადგა და წამქცევს ქეჩოში ხელი წაავლო. გაწევ-გამოწევა, მართალია, უმალ ჩააცხრეს თავად ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა, მაგრამ საქმეში მსაჯი კახა მესხი ჩაერია და დოლიძეც და ფანჩულიძეც მოედნიდან გაითხოვა. შეცდა არბიტრი, მასპინძელი გაძევებას იმსახურებდა, სტუმარს კი საწითელბარათო არაფერი დაუშავებია. „ვიტ ჯორჯიას“ დოლიძის არყოფნა დარჩენილ დროში არც დასტყობია, „კოლხეთს“ კი დიდი ძალა დააკლდა.

...იდგა კარნევალი დაღონებული, გულდაწყვეტილი და ჩაფიქრებული. ალბათ იმიტომ, რომ ბიჭებმა ვერ უძღვნეს ღირსეული საჩუქარი. ნაღვლიანი თვალებით დაგვემშვიდობა და ეტყობოდა, ენანებოდა განშორება — საქართველოსთან, აქაურ ფეხბურთთან და ჩვენთანაც.



ვიტელ ჯაბა მუჯირს (მარცხნივ) და ჰამლეტ წივწივაძეს ერთმანეთის დევნაში ბურთი დაეკარგათ

ზესტაფონი. 30 სექტემბერი. 17.30 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 10 000)

## მეტალურგი 0:0 გურია

12 თ. ოდიკაძე
14 მემარნიშვილი, 18 გურეშიძე, 19 ორმოცაძე, 5 მაღლაკელიძე
16 გეწაძე, 4 მერებაშვილი, 17 გოგაძე
11 ფირცხალაიშვილი, 10 კრავეიშვილი
15 მოსულიშვილი

12 ენდელაძე, 11 კ. მეტრეველი
15 ხუჭუა, 9 მარღიშვილი, 17 კაციაშვილი
2 ებრალიძე
14 ფაცურია, 3 ორბელაძე, 8 განევი
4 გაბრიჭიძე
1 გ. დოლიძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**შეცვლა:** მოსულიშვილი — 7. ქურციკიძე (65), ხუჭუა — 7. სულაკაძე (68), ენდელაძე — 13. დ. ოდიკაძე (68), ფირცხალაიშვილი — 9. ხმალაძე (76)

**გაფრთხილება:** კაციაშვილი (15)

**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 20 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 5 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

# ბედი ისეთი რამ არის...

**იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან**

**გაჭირვებულს** ქვა აღმართში დაეწევაო, „მეტალურგზეა“ ზედგამოჭრილი. გურულებთან პრინციპული ჯახისთვის ზესტაფონელებმა ორი წამყვანი მოთამაშე მოისაკლისეს, „კოლხეთთან“ წინა ტურის მატჩში მესამე გაფრთხილების გამო დისკვალიფიცირებული ამაშუკელი და ფოთშივე დაშავებული სუხიაშვილი. ამათ გარეშე მასპინძლებს ჩვეულ სათამაშო სქემაში კორექტივების შეტანა მოუხდათ. ცენტრალური მცველის პოზიცია გურეშიძემ დაიკავა, მერებაშვილმა კი წინ წაიწია და გამთამაშებლად მოგვევლინა. თავდასხმაში კრავეიშვილს და ფირცხალაიშვილს ახალწვეული გიორგი მოსულიშვილი შეემატა. ამან, წინასწარ ვიტყვით, სადებიუტო თამაშში თავი ვერაფრით გამოიჩინა და მეორე ტაიმის შუაში შესაცვლელიც შეიქნა. თავის კოლეგა ზაურ ჩუბინიძისგან განსხვავებით, სტუმართა დამრიგებელმა სოსო ფრუიძემ ოპტიმალური შემადგენლობით გაიყვანა გუნდი სათამაშოდ.

მიუხედავად პრობლემებისა, ზესტაფონელები ჩემპიონატში პირველ გამარჯვებას ლამობდნენ და დებიუტშივე შეეცადნენ ინიციატივის დაუფლებას, მაგრამ იმთავითვე მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდნენ. „გურია“ სრულ მზადყოფნაში აღმოჩნდა და მასპინძელთა რამდენიმე უხეირო იერიშის შემდეგ იქეთ შეუტია მეტოქეს. მატჩში პირველი საგოლე მომენტიც „მეტალურგის“ კართან შეიქმნა. მე-14 წუთზე კაციაშვილი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, მის ჩაწოდებულს კი საჯარიმოს გარედან ებრალიძის სახიფათო დარტყმა მოჰყვა, რომელსაც თამაზ ოდიკაძე გადაელობა. აქედან მოყოლებული შესვენებამდე თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიდიოდა. ორივე გუნდს გამაგრებული ჰქონდა დაცვა, ამასთან თავდასხმელებიც მოიკოჭლებდნენ. ამიტომ იყო, მეტოქეებმა ნახევარ საათში თითოჯერ დააფრთხეს ერთმანეთი. 26-ე წუთზე გეწაძემ შორიდან მარჯვენა დაბალ კუთხეში დაურტყა გუბაზ დოლიძეს, მეკარემ, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგერია ბურთი. ხუთ წუთში კაციაშვილი-ხუჭუა-კოტე მეტრეველის კომბინაცია ამ უკანასკნელმა მოხდენილი თავურით დაასრულა, თუმც ზესტაფონელთა გოლკიპერმა ამჯერადაც იმარჯვა.

მეორე ტაიმი პირველზე გაცილებით საინტერესო გამოდგა. ჯერ გურულებმა შეუტიეს მწვავედ და ორჯერ ახლოსაც იყვნენ მიზანთან, ოღონდ ფაცურიას საჯარიმოდან დარტყმული ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარის ჯვარედინს და მეტრეველსაც არ გაუმართლა, მისი დაახლოებით 22 მეტრიდან ძლიერად გასროლილი მეკარემ მოიგერია. ამ ბოლო ეპიზოდიდან ათ წუთში მოსულიშვილის შემცვლელ ქურციკიძეს მიეცა კარგი შანსი — იგი დროულად გამოეხმაურა მემარნიშვილის სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებულს და თავით გაგზავნა კარისკენ, თუმც ოდნავ არაზუსტად.

68-ე წუთზე კვლავ იყოჩაღა თამაზ ოდიკაძემ, მეტრეველს ლამის აუღებელი აულო. რვა წუთში უკვე სტუმრები გადაურჩნენ აშკარა ხიფათს. კრავეიშვილის ფლანგური გადაცემის შემდეგ ისევ ქურციკიძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, ფორვარდმა დარტყმაც არ დააზანა, მაგრამ ათიოდე მეტრიდან ძელს მოახვედრა.

ბოლოსკენაც თამაში ორმხრივი იერიშებით გაგრძელდა. რაც მართალია, გამარჯვებასთან უფრო ახლო „გურია“ იყო. 86-ე წუთზე სულაკაძემ კუთხურიდან თავზე დაასვა ბურთი მეტრეველს, ამას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ საოცარი მომენტი გააცუდა...

ქულას დაჯერებულმა მასპინძლებმა საფინალოს შემდეგ, ვფიქრობთ, ყოვლად უსამართლოდ, მსაჯზე სცადეს იერიშის მიტანა. დავით სანაიას ამჯერად ისეთი არაფერი დაუშავებია...

***სოსო ფრუიძე, „გურიას“ მწვრთნელი:*** ჩვენს მეტოქეს წამყვანი ფეხბურთელები აკლდა, მაგრამ მებრძოლი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. თამაში ნებისმიერი ანგარიშით შეიძლებოდა დამთავრებულიყო, თუმც ფრე, ალბათ, უფრო ლოგიკური იყო. „გურიაში“ მეტი გამოცდილი მოთამაშეა, საშემსრულებლო ოსტატობის მხრივ უპირატესობა გვქონდა.

***ზაურ ჩუბინიძე, „მეტალურგის“ მწვრთნელი:*** სამი თამაშია ვუძღვები გუნდს. არ გვწყალობენ მსაჯები. ტენდენციურობას ვამჩნევ. ვეთანხმები კოლეგას, ამ თამაშის მოგებაც შეიძლებოდა და წაგებაც. ბედი გვწირავს. შესუსტებული შემადგენლობით გვიწევს თამაში. შევცდი, მოსულიშვილი რომ დავაყენე ძირითადში, ქურციკიძე თავიდან უნდა გამომეყვანა, ის მეტ სარგებლობას მოგვიტანდა.

# პროტესტი პროტესტის წილ

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**რაც უფრო** ეშხში შედის მეცამეტე ეროვნული, მით უფრო სალაპარაკო ხდება მსაჯობის თემა. მატჩი არაა, რომელიმე გუნდი არბიტრთა მოქმედებით უკმაყოფილო არ იყოს. „ბათუმი“ და „სიონიც“ კვირას „დინამოზე“ რომ შეიყარნენ, ამ ბოლო ხანს ხშირად გამოთქვამენ პროტესტს მსაჯების მიმართ. ასე იყო წინა ტურშიც, სადაც ლანჩხუთს ნასტუმრები „ბათუმი“ ერთობ აღშფოთებული დარჩა ონელი ორდინიძის მსაჯობით. ამის საფუძველი საკმაო იყო და ზღვისპირელთა ასეთი დამოკიდებულებაც რა გასაკვირია.

კვირას კი უკვე „ბათუმის“ მეტოქე ბოლნისის „სიონი“ გაწბილდა. ნამატჩევს სტუმრებს დანა პირს არ უხსნიდათ. სანამ უნდა გაგრძელდეს ასეთი უმსგავსობა, წინა ტურში ბოლნისში ისეთი პენალტი დაგვიდეს და ახლა სამი თერთმეტმეტრიანი გვეკუთნოდა, არც ერთი არ დაგვინიშნესო, ბრაზობდნენ ქვემოქართლელები.

მართლაც ჰქონდათ მათ აღშფოთების საბაბი. მალხაზ მაისურაძემ საკმაო შეცდომებით იმსაჯა და სხვას რომ თავი დავანებოთ, ზემოთ ნახსენები სამი ეპიზოდიდან ერთში მაინც უნდა დაენიშნა თერთმეტმეტრიანი. არადა, სამჯერვე ფრიად საეჭვო სიტუაცია იყო, მაგრამ განსაკუთრებით მეორე ტაიმის შუაგულისთვის შექმნილ მომენტზე ითქმოდა, პენალტი იყოო. აშკარად ჩანდა, თურმანიძე ისიანს ხელით რომ იჭერდა, თუმცა მაისურაძემ ეს ვერ დაინახა.

ხშირად ხდება ასე: გუნდი მეტოქეზე უკეთ გამოიყურება, მაგრამ მაინც აგებს. ასე იყო ბათუმურ ჭინჭყლ ამინდში, სადაც წვიმისგან დამძიმებულ გრუნტზე თამაში, გასაკვირია და მასპინძლებს უფრო გაუჭირდათ, ვიდრე სტუმრებს. თემურ მახარაძის დაცვაზე ორიენტირებულმა ტაქტიკამ თავიდანვე გაამართლა. მაჭუტაძის და აფხაზავას გაუვნებლება პერსონალურად მიჩენილ ირემაშვილს და პაპიძეს არ გასჭირვებიათ. ჰოდა, ამის გამო ზღვისპირელთა იერიშებს ძველებური ლაზათი მოაკლდა.



ბათუმელი ვიტალი დარჩიძე (მარცხნივ) და პაატა ბარნოვი

ერთადერთხელ იყო, მაჭუტაძე მეურვეს რომ გაექცა და ერთადერთი გოლის შემოქმედიც შეიქნა. მეორე ტაიმი ის-ის იყო დაიწყო, რომ პაატამ ორ მცველთან ჭიდილში იმარჯვა, საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და დარჩიძესაც ზუსტი დაბალი პასი დაუგორა. ვიტალიმ ახლო კუთხეში დაურტყა ვოლკოვს და გაუტანა კიდეც.

არადა, ეს გოლი ერთგვარად მოულოდნელიც იყო. ზღვისპირელებს საკმაოდ ორგანიზებული ბოლნისელთა უკანა ხაზის გარღვევა ძლიერ უჭირდათ და რეალურად კარს ერთხელ დაემუქრნენ, ისიც სტუმართა მეკარის შეცდომის ხარჯზე. ვოლკოვმა ჩაწოდებული სველი ბურთი ვერ მოიხელთა და პაპიძე ვარდნაში რომ არ გადაფარებოდა მაჭუტაძის მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში დარტყმულს, გოლი გარდაუვალი იყო. გატანილი გოლის შემდეგ „ბათუმმა“ ერთხანს საკუთარი თამაში იპოვა. დარჩიძის საგოლე დარტყმიდან ხუთიოდ წუთში აფხაზავას შეეძლო, მატჩისთვის ყოველგვარი ინტრიგა დაეკარგა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილს დარტყმა უზუსტო გამოუვიდა.

ეს იყო და „სიონი“ მოედანზე გაბატონდა და გასაყაიმებლად მიზანმიმართულად შეუტია. რამდენიმე საგოლე შანსიც შექმნა, მაგრამ ვერას გამორჩა. საჭოჭმანო ორი ეპიზოდიც ამ იერიშებს მოჰყვა და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ „ბათუმმა“ სასურველი შედეგი მაინც შეინარჩუნა. ზღვისპირელებმა მნიშვნელოვანი სამი ქულა შეიმატეს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულად ვერ გაირჯნენ.

„სიონი“ შინ ნირწამხდარი გაემგზავრა. ამის მიზეზი საკმარისზე მეტი ჰქონდა. ბოლნისელებმა უკეთ ითამაშეს, მაგრამ შედეგი მაინც ვერ მოიმკეს. ამას მსაჯობაც დაუმატეთ და თავად მიხვდებით, როგორ ხასიათზე იქნებოდნენ თემურ მახარაძე და მისი შეგირდები.

ბათუმი. 30 სექტემბერი. 17.30 საათი. დინამო. 1 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 1:0 სიონი

1:0 დარჩიძე (47)

1 ჭანტურია

მწვრთნელი: მალხაზ ბალაძე

2 ჩიჩუა — 18 თურმანიძე — 4 არჩვაძე

5 გვაზავა — 7 ხუჭაძე

6 ქაცარავა — 3 მინდაძე

17 დარჩიძე

9 მაჭუტაძე — 11 აფხაზავა

16 ბ. შენგელია

10 ისიანი — 6 ამბიძე — 14 დაუშვილი

5 ბარნოვი

8 კარიაული — 11 მოსეშვილი

4 პაპიძე — 3 ირემაშვილი

17 სიდამონიძე

1 ვოლკოვი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

**შეცვლა:** კარიაული — 7. მინდიაშვილი (57), მოსეშვილი — 13. დ. სვანიძე (63), ბარნოვი — 2. კ. გოდერძიშვილი (81), მაჭუტაძე — 8. რომანაძე (84), დარჩიძე — 14. კობიძე (85)

**გაფრთხილება:** დაუშვილი (43), ქაცარავა (68), სვანიძე (89), კობიძე (89)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 17 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

რუსთავი. 1 ოქტომბერი. 16.00 საათი. ფოლადი. 2 000 (ტევადობა 10 850)

## გორდა 0:2 ლოკომოტივი

0:1 მორჩილაძე (39), 0:2 კაიდარაშვილი (80)

1 ბედიაშვილი

მწვრთნელი: თენგიზ კაცია

13 ზვ. ლაბაძე — 3 ბურნაძე — 2 კედელაშვილი

20 ლაშა სილაგაძე

17 ალადაშვილი — 15 ლურსმანაშვილი — 8 მელაძე — 6 ლ. კაპანაძე

5 ჭელაძე — 11 გოცირიძე

9 გოგიჩაიშვილი — 7 დ. ჯანაშია

26 ანჩაბაძე

20 ონიანი — 8 ჰიჭვეიშვილი — 25 გელა ქორიძე — 15 მორჩილაძე

2 ბალაშვილი — 4 სალუქვაძე — 6 დავითნიძე

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

1 ლომაია

**შეცვლა:** სილაგაძე — 7. ზ. ლაბაძე (46, — 10. კოტეიშვილი 77), გოცირიძე — 14. პეტრიაშვილი (61), ჯანაშია — 10. კაიდარაშვილი (71)

**გაფრთხილება:** ჭელაძე (20)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ზ. დოლიძე (თბილისი); გ. კუკჩიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 11 | ჯარიმა | 16 |
| 4 | კუთხური | 6 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 3 | კარში დარტყმა | 6 |
| 0 | თამაშგარე | 3 |

# გორდა საოპერაციო მაგიდაზე

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

„ლოკომოტივმა“ ტრადიცია არ დაარღვია, ეს გუნდი გამორჩევით წარმატებულად თამაშობს სტუმრად „გორდასთან“ და გუშინაც სამი ქულა წაიღო „ფოლადიდან“.

აშკარაა რკინიგზელთა პროგრესი, კახა ცხადაძის გუნდი დღითი დღე უმატებს და უფრო და უფრო საშიში ხდება მეტოქეთათვის.

„გორდას“ თითქოს ურიგოდ არ უთამაშია. ტრავმამოშუშებული კედელაშვილი ბურნაძესთან ერთად საიმედოდ იდგა დაცვაში, რუსთაველი ნახევარმცველებიც არ ირჯებოდნენ ურიგოდ, მაგრამ გუშინ მაინც ორი განსხვავებული კლასის გუნდი თელავდა „ფოლადის“ შელახულ საფარს. სტუმრებმა თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრეს მასპინძლები და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

მატჩი რკინიგზელთა შეტევებით დაიწყო. სტუმრებს დებიუტშივე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. მე-5 წუთზე მორჩილაძემ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას გამოიჭირა რუსთაველები და სწრაფი ჯანაშია შეატოვა ბედიაშვილს... „გორდა“ გადარჩა, ჯანაშიას ხუთიოდე მეტრიდან გაუცუდდა დარტყმა. წუთის მერე გოგიჩაიშვილი აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, თუმცა მანაც ვერ იხეირა. ეს იყო და რუსთაველებმა თამაში გაათანაბრეს, ბურთმა მოედნის ცენტრისკენ აიწია და შემდგომ ნახევარ საათს ქართული ფეხბურთისთვის ჩვეული მოსაწყენი ბურთაობა გაჩაღდა, ამას გარკვეულწილად მოედნის უხარისხობამაც შეუწყო ხელი.

ტაიმი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ კახა ცხადაძის ორიოდე შეძახილი სტუმრებს ასაფეთქებლად ეყოთ. ჯერ ანჩაბაძემ ანერვიულა შორეული დარტყმით მასპინძელთა ქომაგები, 39-ე წუთზე კი „გორდას“ დაცვა ჩავარდა, კვლავაც ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას და ანჩაბაძე-გოგიჩაიშვილის ორსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის ჭკვიანური პასით გაგრძელდა, რასაც მორჩილაძის გოლი მოჰყვა. „ლოკომოტივის“ მარჯვენა ნახევარმცველმა, რომელმაც მთელი მატჩი სტაბილურად ჩაატარა, შვიდი მეტრიდან შანსი არ დაუტოვა ბედიაშვილს.

ტაიმის ბოლომდე რკინიგზელებს ერთის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ბედიაშვილმა თავს და ანჩაბაძეს აჯობა. რუსთაველ მეკარესთან ჯანაშია და ანჩაბაძე გავიდნენ პირისპირ, გოლიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მასპინძელმა სტუმარს სასწაულებრივ დაატოვებინა ბურთი.

„გორდას“ დასაკარგი არაფერი ჰქონდა და მეორე ტაიმი რუსთაველებმა იერიშებით დაიწყეს, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხეს იმ დიდ ხარვეზს, რისი წყალობითაც ფაქტობრივად წინასწარ განწირულნი იყვნენ — თენგიზ კაციამ ვერაფრით შეძლო კავშირის დამყარება თავისი გუნდის ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზს შორის. „ლოკომოტივს“ კი აუღელვებლად მიჰყავდა მატჩი გამარჯვებისკენ.

71-ე წუთზე ცხადაძემ გონივრული ნაბიჯი გადადგა და ერთადერთი შეცვლა განახორციელა — ჯანაშიას ნაცვლად კაიდარაშვილი ჩართო თამაშში. ცხრა წუთში სწორედ კაიდარაშვილი გახდა რუსთაველთა კარში გატანილი მეორე გოლის ავტორი. გოლს კი ანჩაბაძის გამოზომილი პასით ჩაეყარა საფუძველი, რის შემდეგაც ონიანი გავიდა ბედიაშვილთან პირისპირ, მეკარემ რონინის დარტყმული ბურთი კი მოიგერია, მაგრამ იქვე ჩასაფრებული კაიდარაშვილის დამატებულს ვერაფერი მოუხერხა. მერე კაიდარაშვილს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ პირისპირ გასულს ბედიაშვილი გადაეღობა — რუსთაველთა მეკარე თანაგუნდელთა შორის მართლაც საუკეთესო იყო გუშინდელ შეხვედრაში.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე **კახა ცხადაძემ** გარჯა შეუქო თავისიანებს: „ბიჭების მადლობელი ვარ. საგულდაგულოდ იბრძოლეს, მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა კვლავაც გადასაჭრელია — ხელაღებით ვანიავებთ საგოლე მომენტებს, თუმც იმედი მაქვს, ნელ-ნელა ამ ხარვეზს აღმოვფხვრით. „გორდას“ თამაში ამას წინათ ვნახე „გურიასთან“ და მაშინ ერთობ მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა მშობლიური ქალაქის გუნდზე, დღეს კი გაოცებული ვარ იმ პროგრესით, რასაც „გორდამ“ ამ რამდენიმე დღეში მიაღწია. მიუხედავად ამისა, ნურვინ მიწყენს და დღევანდელ მატჩში მონაწილეთა შორის დიდი სხვაობაა კლასში“.

მიუხედავად მარცხისა, იმედიანად იყო **რუსთაველთა თავკაცი თენგიზ კაცია:** „ყველა ხედავს, რომ გუნდში გარკვეული ცვლილებებია საჭირო, მაგრამ ქირურგიული ჩარევისგან ამ ეტაპზე თავი შევიკავე, მხოლოდ თერაპიული კურსით დავკმაყოფილდი, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმც ყველაფერი წინაა, მჯერა, ჩემი „გორდაში“ მუშაობა გუნდისთვის სასიკეთო აღმოჩნდება“.

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი
8 ტური

**თორი 0:3 თსუ**

**ლაზიკა 1:1 ლოკომოტივი 3**

**ცხინვალი 2:2 მილანი**

**მერანი 2 3:1 სამტრედია**

**დინამო 2 1:0 ხობი**

**დილა 1:0 ქობულეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 8 | 7 | 1 | 0 | 22:1 | 22 |
| მილანი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:5 | 17 |
| ქობულეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 7:6 | 16 |
| ცხინვალი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 14 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 0 | 4 | 9:9 | 12 |
| თსუ | 8 | 3 | 2 | 3 | 11:8 | 11 |
| ლოკომოტივი 3 | 8 | 2 | 4 | 2 | 11:13 | 10 |
| ხობი | 8 | 1 | 5 | 2 | 4:7 | 8 |
| ლაზიკა | 8 | 2 | 2 | 4 | 7:16 | 8 |
| მერანი 2 | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | 7 |
| სამტრედია | 8 | 1 | 2 | 5 | 5:14 | 5 |
| თორი | 8 | 1 | 0 | 7 | 4:21 | 3 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტელესერიალი



ფულემი — ჩელსი. მასპინძელთა მეკარე ედვინ ვან დერ სარმა და ზატ ნაითმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (№9) არ გაატარეს

REUTERS

## ინგლისი

### VIII ტური

**ასტონ ვილა 2:0 ბლეკბერნი**

1:0 პაბლო ანხელი (46), 2:0 ვასელი (72)
ასტონ ვილა: შმაიხელი, დილანი, სტონტონი, ალფაი, რაიტი, ჰენდრი, ბოატენგი, ჰიჩკი, კოლიმორი (სამუელი 84), ვასელი, პაბლო ანხელი (დაბლინი 84)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ბერგი, თეგა, ბიორნებიე, ფლიტკროფტი, დანი (ჰინეტი 81), ჯონსონი (მაკატირი 67), ნაილი, მაჰონი, იანსენი, ჰიუზი (ოსტენსტადი 60)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ჰიჩკი, ვასელი, ბიორნებიე, ფლიტკროფტი
მსაჯი: ჰელსი
28 623 მაყურებელი

**ფულემი 1:1 ჩელსი**

0:1 ჰასელბაინკი (32), 1:1 ჰეილსი (56)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, კლარკი (მალბრანკი 66), ნაითი, კოლინზი (მარლე 88), დევისი, გოლდბეკი (ბოა მორტე 45), საჰა, ჰეილსი
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ჩელსი: დე გუა, მელხიოტი (ფერერი 80), ბაბაიარო, ტერი, დესაი, პეტი, ზენდენი (დალა ბონა 84), გალასი, იოკანოვიჩი, ძოლა (გუდიონსენი 71), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: დევისი, ტერი, გალასი, იოკანოვიჩი, დესაი
გაძევება: იოკანოვიჩი (81)
მსაჯი: პოლი
20 197 მაყურებელი

**იფსვიჩი 1:2 ლიდსი**

1:0 სტიუარტი (22), 1:1 კინი (70), 1:2 ვენუსი (86ავ.)
იფსვიჩი: სერენი, მაკინი (უილნისი 88), მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, რაიტი (კუნაგო 87), ჰოლანდი, მეჯილტონი, ფინიდი (ჩეპმენი 72), არმსტრონგი, სტიუარტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ლიდსი: მარტინი, მილსი, მატეო, ფერდინანდი, ჰარტი, ბაკე, ბეტი, ბოიერი, კიუელი, რობი კინი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: მილსი
მსაჯი: დურსო
22 643 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:2 ლივერპული**

0:1 რიისე (3), 0:2 მერფი (86)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, დაბიზასი, ელიოტი, სოლანო (ამეობი 73), ლი, ბკუნია (სპიდი 57), რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლივერპული: დუდეკი, ვინალი, ჰიპია, ანშო, კარაგერი, ბისკანი, მაკალისტერი, მერფი, რიისე, ჰესკი, ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბელამი, კარაგერი, ანშო, ფაულერი, მერფი
მსაჯი: ბარბერი
52 095 მაყურებელი

**ბოლტონი 0:2 სანდერლენდი**

0:1 ფილიპსი (77), 0:2 კრადოკი (83)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, ჩარლტონი, უიტლოუ, ბერგსონი, ფარნურისტი, გარდნერი, ნოლანი (ფრანდსენი 45), ჯონსონი (ჰანსენი 84), უოლესი (რიკეტსი 60), ჰოლდსუორთი
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
სანდერლენდი: სორენსენი, უილიამსი, გრეი, კრადოკი, ვარგა, არკა, კილბეინი, მაკკენი, შვარცი, ფილიპსი, ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ფრანდსენი, მაკკენი
მსაჯი: ელერეი
24 520 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:0 ლესტერი**

1:0 იოჰანსონი (45), 2:0 ბარტლეტი (56)
ჩარლტონი: კელი, იანგი, პაუელი (ტოდი 46), ფიში, ბრაუნი, კონჩესკი, პარკერი, კინსელა (რობინსონი 90), სტიუარტი, იოჰანსონი, ბარტლეტი (იუელი 66)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ლესტერი: უოქერი, მარშალი, სინკლერი (უაიზი 60), ჰესი, დევიდსონი, სევიჯი, იზეტი, ჯოუნსი, ლუისი, სკოუკროფტი (ბენჯამინი 10; იმპი 60), სტარიჯი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: ტოდი, სინკლერი, იზეტი
გაძევება: ბრაუნი (25), ლუისი (42)
მსაჯი: დინი
20 451 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 0:2 არსენალი**

0:1, 0:2 ანრი (21, 63პ)
დერბი ქაუნთი: ოუქსი, ჯექსონი (ბარტონი 66), რიგოტი, ჰიგინბოთემი, ბარტონი, მიური (ძინძაძე 45), პაუელი, ონილი, ჯონსონი, კრისტი, რავანელი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
არსენალი: რაიტი, ლორენი, კიოუნი, აშონი, კოული, ლიუნგბერგი (ლუჟნი 60), ვიეირა, ვან ბრონკჰორსტი, პირესი, ანრი (გრიმანდი 78), ჯეფერსი (კანუ 48)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ჰიგინბოთემი, ოუქსი, ონილი, კიოუნი, აშონი, ვიეირა
გაძევება: კიოუნი (58)
მსაჯი: სტაილზი
29 200 მაყურებელი

**ევერტონი 5:0 ვესტ ჰემი**

1:0 კემპბელი (45), 2:0 ჰატჩისონი (52პ.), 3:0 გრავესენი (56), 4:0 უოტსონი (75), 5:0 რაძინსკი (79)
ევერტონი: ჟერარი, შავიერი, ვეირი, პისტონე, უოტსონი, ალექსანდერსონი, გესქოინი (პემბრიჯი 8), გრავესენი, ნეისმიტი, რაძინსკი (მური 82), კემპბელი, პემბრიჯი (მოიერსი 82)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, უინტერბერნი (სომა 63), დეილი, სონგი, შეპელი, კერტისი (ბირნი 77), კარიკი, ჰატჩისონი, სინკლერი, კანო (კიტსონი 80), დი კანიო
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
მსაჯი: დარკინი
32 049 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:3 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (66), 0:2 პახარსი (73პ), 1:2 ბოკშიჩი (75პ), 1:3 ბიტი (86)
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, ემიოგუ, საუთგეიტი, ფლემინგი, ჯონსტონი (მარინელი 68), მასტო (ოკონი 70), უილსონი, გრინინგი, ბოკშიჩი, დინი (ნემეტი 69)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, ბრიჯი, ელ ხალეჯი, ლუნდეკვამი, დელაპი (რიპლი 52), სვენსონი (ბენალი 67), ოკლი, მარსდენი, დევისი, ბიტი, პახარსი (მაკდონალდი 76)
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
გაფრთხილება: დელაპი
მსაჯი: უილი
26 142 მაყურებელი

**ტოტენჰემი 3:5 მანჩესტერი**

1:0 რიჩარდსი (15), 2:0 ფერდინანდი (25), 3:0 ციგე (45), 3:1 კოული (46), 3:2 ბლანი (58), 3:3 ვან ნისტელროი (72), 3:4 ვერონი (76), 3:5 ბექჰემი (87)
ტოტენჰემი: სალივანი, ტარიკო, კინგი, პერი, რიჩარდსი, ციგე, ფრიინდი, ანდერტონი (რებროვი 83), პოიეტი, ფერდინანდი, შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, იონსენი, ირვინი (სილვესტრი 46), ბექჰემი, ბატი (სოლსკიაერი 40), სქოულზი, ვერონი, კოული, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პოიეტი, პერი, ფრიინდი, ბატი, ირვინი, ბექჰემი
მსაჯი: უინტერი
36 038 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედის", როგორც საფეხბურთო გუნდის ცქერა, თანდათან კარგავს აზრს. ამ გუნდის თამაში უფრო დეტექტიურ ტელესერიალს ემსგავსება, რომელსაც კვირაში ორჯერ უნდა უყურო და მოულოდნელ ინტრიგებში ჩაერთო. ასეთ შემთხვევაში, თითქმის ალარანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მოიგებს თუ წააგებს სერ ალექსის გუნდი, მაყურებელს სანახაობა ყოველთვის გარანტირებული აქვს.

შუა კვირაში, ლა კორუნიაში დრამატული წაგების შემდეგ „მანჩესტერმა" ახალი წარმოდგენა გაათამაშა ლონდონის „უაით ჰართ ლეინზე": პირველი ტაიმის შემდეგ 0:3-ს აგებდა „ტოტენჰემთან" და კოჭებში თამაშისა და ბრძოლისა არაფერი ეტყობოდა. მასპინძელთა გმირად უნდა ქცეულიყო „საუთჰემპტონიდან" წინა დღით გადაყვანილი ბრგე მცველი დინ რიჩარდსი, რომელმაც გოლიც გაიტანა და თავის საჯარიმოშიაც არავინ გააჭაჭანა. მაგრამ მეორე ტაიმში „ტოტენჰემის" ახალწვეულმა სრულად განიცადა ის კოშმარი, „მანჩესტერის" წინააღმდეგ დაცვაში თამაში რომ ჰქვია. სამი გოლი სტუმრებმა თავურებით გაქვითეს, თვით მსოფლიოს ყველაზე შედეგიანმა მცველმა, ლორან ბლანმაც კი გაიტანა. „ტოტენჰემი" იმგვარად წახდა, რომ 3:3-ის შემდეგ რამდენსაც დაურტყამდი, იმდენს გაუშვებდა. ორი დაურტყეს და ორი გაუშვა, „მანჩესტერმა" კი კვლავ ყველაზე მეტი გაუშვა და ყველაზე მეტი გაიტანა. ეს საოცარი თამაში იყო არა მაინცდამაინც ოსტატობის თვალსაზრისით, არამედ თავად მსვლელობით. ფერგიუსონმა პირველად მაშინ გაიცინა, როცა ხუან ვერონმა მეოთხე გოლი შეაგდო.

ლიდერი კი კვლავ „ლიდსია", რომელმაც „იფსვიჩს" გასვლითი გამარჯვება გამოგლიჯა „პორტმან როუდზე". „იფსვიჩმა" წლევანდელ პრემიერლიგაში თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და კარგა ხანს იგებდა კიდეც შარშანდელი მთავარმეგოლის, მარკუს სტიუარტის ოსტატურ თავურით. ეს დიდად თვალსასეირო თამაში იყო და ვინ იცის, ჯორჯ ფინიდის და მის ამხანაგებს რომ უფრო ზუსტად დაერტყათ, „ლიდსი" რარიგ გაწვალდებოდა. სტუმრებს ცეცხლის ხაზზე ჰყავდათ რობი კინი, რომელიც ასევე გვარიან მომენტებს აფუჭებდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან კარს იპოვნიდა. ასეც მოხდა ჰარი კიუელის ფანტასტიკური პასის შემდეგ. „ლიდსმა" ამ გოლის შემდეგ იკრა სიხლის სუნი, მსხვერპლი კი იფსვიჩელი მარკ ვენუსი შეიქნა, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა იმავ კიუელის კროსი. სწორედ ვენუსმა ჩააწოდა საგოლე პირველ ტაიმში სტიუარტს, მაგრამ მთავარი საკვირველება მაინც მისი ავტოგოლი იყო, ვინაიდან, შარშან ამავ „პორტმან როუდზე" საბრალო ვენუსმა სწორედ „ლიდსთან" შეხვედრაში გაიტანა ავტოგოლი. მოკლედ, „ლიდსმა" მოიგო, მენეჯერმა დევიდ ოლირიმ კი თქვა: „თამაში ცუდად დავიწყეთ, თუმცა, ასეთი გუნდებისთვის გატანა შეგვიძლია და ამის იმედი სულ მქონდა". „არსენალმა" კომფორტულად მოიგო დერბიში, თუმცალა შუა თამაშში მარტინ კიოუნი გაუძევეს. „ლივერპულმა" მისთვის ჩვეული მგუდავი თამაშით, იონ არნე რიისეს ადრიანად დამარაგებული გოლის იმედით მოაშთო „ნიუკასლი". „ლივერპულს" ამ სეზონში პირველად კაპიტნობდა რობი ფაულერი, რომელმაც მშვენივრად ითამაშა და მეორე გოლში ლომის წილი დაიდო. „მშვენიერია, როცა ასე გამოგდის ყველაფერი", — თქვა ფაულერმა — „სულ ორი-სამი გუნდია ინგლისში, ნიუკასლში რომ ჩამოვა და სამ ქულას აიღებს".

ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ არაჩვეულებრივ სტილში და გოლების ქარბორბალათი მოიგო „ევერტონმა", რომლის მსხვერპლიც „ვესტ ჰემი" გამოდგა. „ევერტონმა" მეორე ტაიმში გაიტანა ოთხი გოლი, ერთი კი — პირველი ნახევრის დამატებულ წუთზე. თამაშის დაწყებიდან ათი წუთიც არ იყო გასული, როცა დაშავდა სასტარტოში მყოფი პოლ გესქოინი, რომელიც მოედანზე დარჩენას ითხოვდა, მაგრამ მაინც შეცვალეს. ახლა „ვესტ ჰემში" მოთამაშე ძველმა ევერტონელმა სქოთმა, დონ ჰაჩისონმა საკუთარ კარში გაიტანა გოლი, ტომაშ რაძინსკიმ კი თავისი პირველი ინგლისური გოლი შეაგდო. ჯამში — 5:0.

ბოლო 16 გასვლითი შეხვედრიდან მე-15 წაგება თანმიმდევრობით დაუწერა ლესტერის" მწვრთნელს, პიტერ ტეილორს. „ჩარლტონ ატლეტიკის" მცველმა სტივ ბრაუნმა იმდენი მოახერხა, რომ ტრავმირებულს და მოედნიდან საკაცით გატანილს თან წითელი ბარათი გაჰყვა, მაგრამ ამან ლესტერელებს ვერ უშველა, მასპინძელს მალევე მიჰყვა სტუმართა ჯუნიორ ლუისი, იდაყვის ქნევით რომ გამოიჩინა თავი. „ჩარლტონმა", რომელიც შინ ყოველთვის გამორჩეული ძალმოსილებით თამაშობს, 2:0 მოიგო. შინ წააგო „მიდლსბრომ", „საუთჰემპტონმა" კი პირველი გასვლითი გამარჯვება ჩაიწერა გამოღვიძებული ჯეიმს ბიტის დუბლისა და მარიან პახარსის წყალობით. „სანდერლენდის" მეკარემ ტომას სორენსენმა პენალტი აუღო ბლექბერნელ პერ ფრენდსენსენს, რაც სანდერლენელთა გამარჯვების საფუძველი შეიქნა და კევინ ფილიპსმაც, როგორც იქნა, გაიტანა თავისი გოლი.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლიდსი | 7 | 5 | 2 | 0 | 11:2 | 9 | 17 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 7 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 |
| 2 არსენალი | 7 | 4 | 2 | 1 | 16:5 | 11 | 14 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 4 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 10 |
| 3 მანჩესტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 22:13 | 9 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 8 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 11:10 | 1 | 5 |
| 4 ასტონ ვილა | 6 | 3 | 3 | 0 | 9:3 | 6 | 12 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 |
| 5 ბოლტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:6 | 4 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:2 | 5 | 6 |
| 6 ლივერპული | 6 | 4 | 0 | 2 | 10:7 | 3 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 |
| 7 სანდერლენდი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 8 ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 0 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 9 ჩელსი | 6 | 2 | 4 | 0 | 10:7 | 3 | 10 | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 0 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 |
| 10 ევერტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:10 | 2 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 11 ბლეკბერნი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 1 |
| 12 ჩარლტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 13 ტოტენჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 14 ფულემი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | -1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 15 მიდლსბრო | 8 | 2 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:11 | -7 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 16 საუთჰემპტონი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | -5 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 |
| 17 იფსვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | -5 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 18 ვესტ ჰემი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:9 | -8 | 1 |
| 19 დერბი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 20 ლესტერი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:17 | -12 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | -6 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | -6 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 7 |
| ანრი (არსენალი) | 6 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 4 |
| ბექჰემი (მანჩესტერი) | 4 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 4 |
| ციგე (ტოტენჰემი) | 4 |
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 4 |
| ქ. კემპბელი (ევერტონი) | 4 |

### IX ტური

13 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | - | ფულემი |
| ბლეკბერნი | - | ვესტ ჰემი |
| ბოლტონი | - | ნიუკასლი |
| ჩარლტონი | - | მიდლსბრო |
| ჩელსი | - | ლესტერი |
| იფსვიჩი | - | ევერტონი |
| ლივერპული | - | ლიდსი |
| საუთჰემპტონი | - | არსენალი |
| სანდერლენდი | - | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | - | დერბი |

## პირველი დივიზიონი

### IX ტური

**ბრედფორდი 3:2 გრიმსბი**
1:0 ბლეიქი (11), 2:0 ჯესი (25), 2:1 როუენი (58), 2:2 ბოლდინგი (80), 3:2 უორდი (87)

**ძრიუ 0:0 ბირმინგემი**

**კრისტალ პალასი 4:1 შეფილდ უენსდი**
1:0, 2:0 ფრიდმენი (6, 14), 3:0 მორისონი (26), 3:1 ჯონსონი (42), 4:1 მორისონი (52)

**ჯილინგემი 1:2 ქოვენთრი**
0:1 მარტინესი (14), 0:2 ჩიპო (45), 1:2 შოუ (90)

**მანჩესტერ სიტი 0:4 უიმბლდონი**
0:1, 0:2 კონოლი (23პ, 35), 0:3, 0:4 შიპერლი (83, 90)

**ნოტინგემი 2:1 სტოკპორტი**
1:0, 2:0 ლესტერი (11, 19), 2:1 ფლინი (47)

**როტერჰემი 0:3 ვულვერჰემპტონი**
0:1 კამერონი (18), 0:2 კენედი (23), 0:3 რაე (87)

**შეფილდ იუნაიტედი 2:1 ნორვიჩი**
1:0 ასაბა (40), 2:0 სუფო (45), 2:1 ნილერგაარდი (83)

**უოლსოლი 0:0 მილუოლი**

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ბარნლი**
1:0 დობი (67)

**ბარნსლი 1:4 პორტსმუთი**
1:0 ბარნარდი (9პ), 1:1 ვინსენტი (23), 1:2 კრუში (45), 1:3, 1:4 ბრედბერი (51პ, 59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 10 | 7 | 3 | 0 | 20:9 | 24 |
| ბარნლი | 11 | 7 | 1 | 3 | 27:18 | 22 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 6 | 1 | 3 | 14:7 | 19 |
| ნორვიჩი | 10 | 6 | 1 | 3 | 13:13 | 19 |
| კრისტალ პალასი | 9 | 6 | 0 | 3 | 25:16 | 18 |
| სიტი | 10 | 6 | 0 | 4 | 27:20 | 18 |
| პორტსმუთი | 11 | 5 | 3 | 3 | 21:16 | 18 |
| ბრედფორდი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:15 | 17 |
| ქოვენთრი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 17 |
| 24.00 | 434 | ბრაზილია-ჩილე | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 03.15 | 435 | პარაგვაი-არგენტინა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | |
| | | **6 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 436 | საფრანგეთი-ალჟირი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | | **7 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 437 | იაპონია-ნიგერია (საუთჰემპტონში) | | | |
| | | **ევროპის ახალგაზრდული (21 წლამდე) ჩემპიონატი.** | | | |
| | | **5 ოქტომბერი** | | | |
| 15.00 | 438 | სომხეთი-ნორვეგია | 3.6 | 3,3 | 1,75 |
| 18.00 | 439 | პოლონეთი-უკრაინა | 2,3 | 3,3 | 2.0 |
| 19.00 | 440 | რუსეთი-შვეიცარია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 441 | იუგოსლავია-ლუქსემბურგი | 1,03 | 8.0 | 20,0 |
| 19.00 | 442 | რუმინეთი-საქართველო | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.30 | 443 | ხორვატია-ბელგია | 2,1 | 3,0 | 3.3 |
| 21.15 | 444 | გერმანია-ფინეთი | 1,1 | 5,6 | 14,0 |
| 22.00 | 445 | პორტუგალია-ესტონეთი | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 22.00 | 446 | ჩეხეთი-ბულგარეთი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.00 | 447 | მალტა-ჩრდ. ირლანდია | 2,8 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 448 | დანია-ისლანდია | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 23.30 | 449 | ირლანდია-კვიპროსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.30 | 450 | უელსი-ბელარუსი | 3.6 | 3.4 | 1,75 |
| 23.30 | 451 | შოტლანდია-ლატვია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 452 | იტალია-უნგრეთი | 1,2 | 5.0 | 9,0 |
| 23.45 | 453 | ინგლისი-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 6,5 |
| | | **6 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 454 | მაკედონია-სლოვაკეთი | 3,4 | 3,2 | 1,85 |
| 16.00 | 455 | მოლდოვა-თურქეთი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 17.00 | 456 | შვედეთი-აზერბაიჯანი | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| 18.00 | 457 | ისრაელი-ავსტრია | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **7 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 458 | საფრანგეთი-ბოსნია | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| | | **ჰოკეი.** | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | |
| 04.00 | 501 | ტორონტო-ოტავა | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 05.00 | 502 | პიტსბურგი-კოლორადო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 06.00 | 503 | კალგარი-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | |
| 04.00 | 504 | ბოსტონი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 505 | ბუფალო-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 506 | ოტავა-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 507 | ფილადელფია-ფლორიდა | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 508 | კოლუმბუსი-სტ. ლუისი | 2,3 | 4,0 | 1,75 |
| 07.00 | 509 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 07.00 | 510 | სან ხოსე-დეტროიტი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 07.30 | 511 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | |
| 04.00 | 512 | კაროლინა-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 513 | ტამპა ბეი-აილენდერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 05.30 | 514 | დალასი-ნეშვილი | 1,55 | 4,0 | 2,8 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 23.30 | 601 | ვალიადოლ-ესპანიოლ | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4.4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.30 | 602 | ალავესი-მალაგა | 2,4 | 11,0 | 22,0 | 3,6 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.30 | 603 | სარაგოსა-სოსიედადი | 2,3 | 11,0 | 22.0 | 3,5 | 5,0 | 8,0 | 20.0 | 10,0 | 7,5 |
| 23.30 | 604 | რაიო-ოსასუნა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 605 | ბარსელონა-მალიორკა | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,6 | 12,0 | 25,0 | 12.0 | 12,0 |
| 24.00 | 606 | ბილბაო-ბეტისი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 24.00 | 607 | ვილიარეალ-დეპორტ | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 608 | სევილია-ტენერიფე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 01.30 | 609 | ლას პალმასი-რეალი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,7 | 3,8 | 22,0 | 11,0 | 2,7 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 00.30 | 610 | სელტა-ვალენსია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |

FORMULA 1

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთექვსმეტე ეტაპი

# მიკამ დღეობა და პენსიაში გასვლა ტრიუმფით აღნიშნა

**ორგანიზატორთა** პესიმიზმის მიუხედავად, აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებას მოსალოდნელზე ბევრად მეტი მაყურებელი დაესწრო. საქმე მხოლოდ უსაფრთხოების უპრეცედენტო ღონისძიებებში როდია.

ვაშინგტონსა და ნიუ იორკში განხორციელებული ტერაქტების მიუხედავად, ამერიკელებმა ფორმულა 1-ის რბოლისადმი დიდი ინტერესი გამოავლინეს. ალბათ ეს ერთგვარი საპროტესტო რეაქციაც გახლდათ. ეგაა, ევროპიდან შედარებით ნაკლები გულშემატკივარი ჩავიდა — ნავარაუდევი 30 ათასის მხოლოდ მესამედი, თუმცა ლეგენდარული „ოვალის“ ტრიბუნებზე ხალვათობა არ იგრძნობოდა. მოსალოდნელი გართულების შიშით საგანგებო ზომები იქნა მიღებული. გიგანტური ავტოდრომის ტერიტორიაზე და მის მისადგომებთან 1500 პოლიციელი და სპეცსამსახურების აგენტთა დიდი რაოდენობა იყო მობილიზებული. სარბოლო უქმეებმაც მშვიდობიანად, ექსცესების გარეშე ჩაიარა.

„სამეფო რბოლების“ მოთხოვნათა შესაბამისად ტრასის კონფიგურაციის გასართულებლად, პრიმიტიული პროფილის „ოვალის“ ტერიტორიაზე შარშან ორკილომეტრიანი მიხვეულ-მოხვეული მონაკვეთი გაჩნდა, გასასწრებად მშვენიერი ფართო უბნებითა და განიერი დამცავი ზონებით.

ამგვარად სახეცვლილმა „ინდიანაპოლის მოტორ სპიდვეიმ“ მეორედ უმასპინძლა მეფორმულეებს. საბედნიეროდ, არც დებიუტისას და არც წლეულს ერთი სერიოზული ავარიაც არ მომხდარა, რაც ბოლო დროს ასე შემოეჩვია ავტორბოლას. ყველაზე სახიფათო დებიუტანტ ტომაშ ენგეს მარცხი ჩანდა შაბათს საკვალიფიკაციო შეჯიბრისას. საპოულე საათის გასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მას „პროსტი“ ტრასიდან გაექცა და დიდი სიჩქარით მიენარცხა ძველი საბურავების კედელს. პილოტი ოდნავაც არ დაშავებულა.

კვალიფიკაცია რბოლაზე არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა. უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა და ლიდერიც ლამის ყოველი ცდის შემდეგ იცვლებოდა. თავიდან საუკეთესო დრო ხუან პაბლო მონტოიამ აჩვენა. იქვე ჯერ მიკა ჰაკინენმა, მერე კი რუბენს ბარიკელომ ერთმანეთის მიყოლებით კოლუმბიელის შედეგს თითქმის ნახევარი წამი მოაკლეს. რამდენიმე წუთში რალფ და მიხაელ შუმახერებმა იყოჩაღეს, თუმცა ჰაკინენმა მალე ისევ დაიბრუნა პირველობა. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ დიდებული მესამე ცდით მიხაელმა ფინელის მაჩვენებელს წამის ორ მეათედზე მეტი ჩამოაჭრა და წლეულს მეათე პოულიც დაისაკუთრა. 1 წუთი; 11,708 წამი (210,45 კმ/სთ საშუალო სიჩქარე) — ამიერიდან ასეთია ტრასის ახალი რეკორდი.

ჰაკინენმა მეორე სასტარტო პოზიცია კი დაიბევა, მაგრამ ბოლო ცდაზე წესის დარღვევის გამო რბოლის დირექტორატმა ის დრო გაუუქმა და ძალაში მისი მომდევნო შედეგი დატოვა, რამაც ექსჩემპიონი ორი ადგილით უკან დახია. ეს კიდევ არაფერი, რბოლის წინ გავარჯიშებისას მიკას ჯერ ძირითადი ბოლიდი გაუფუჭდა, მერე კი სათადარიგომაც უმტყუნა. მართალია, მექანიკოსებმა ხარვეზები დროულად აღმოფხვრეს, მაგრამ მაინც რა განწყობაზე იქნებოდა იუბილარი, რომელსაც პარასკევს 33 წელს შეუსრულდა და თანაც კარიერაში ბოლოსწინა რბოლას ატარებდა, ადვილი მისახვედრია. არადა, ამერიკაში ჩაფრენისთანავე ჰაკინენმა იმედიანად განაცხადა, წასვლისას კარის გაჯახუნებას, ანუ დარჩენილი ორივე ეტაპის მოგებას ვაპირებო.



REUTERS

**მიხაელ შუმახერმა და დევიდ კულჰარდმა ასე მიულოცეს მიკა ჰაკინენს მეოცე მოგება**

საპენსიოდ გამზადებულ ვეტერანს ვერც სტარტი გამოუვიდა ხეირიანი. მის წინ მდგომი რალფი ოდნავ შეფერხდა, რის გამოც მიკამ კიდევ ერთი ადგილი დაკარგა და მეხუთე აღმოჩნდა. მონტოია უსწრაფესად დაიძრა და თანაგუნდელის გასწრების მერე უფროს შუმიზეც მიიტანა იერიში, მაგრამ მიხაელმა უშეცდომოდ დაიცვა პოზიცია და პირველ, ურთულეს მოსახვევში მეტოქეზე ადრე შევიდა.

ბარიკელომ თავიდანვე მეტად მაღალი ტემპი განავითარა და მესამე წრეზე იმავე უგრძესი სასტარტო სწორის ბოლოს მონტოია ჩამოიტოვა, ხოლო კიდევ ორი წრის შემდეგ მიხაელმა თანაგუნდელი წინ გაუშვა, რუბინიოს ხომ ჰაერივით ესაჭიროებოდა ქულები ვიცე-ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. ბრაზილიელმა უკანმოუხედავად გაქუსლა და ზედიზედ რამდენიმე უსწრაფესი წრეც „გამოაცხო“. ამის მიზეზი მალე გახდა ცნობილი — მიხაელისგან განსხვავებით მას ორი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონდა არჩეული და ეს სიფიცხეც ნაკლული ავზის მიზეზით იყო. იგი ყოველ წრეზე ზრდიდა მდევრებთან სხვაობას.

გზის მესამედი ისე გაიარეს, რომ ექვსეულში ერთი ცვლილებაც არ მომხდარა. ბარიკელო 12 წამამდე დაშორდა მიხაელს და კიდევ უფრო მეტით დანარჩენებს — მონტოიას, რალფს, ჰაკინენს, კულჰარდს. მან ბოქსებში პირველად 27-ე წრეზე შეუხვია 8,6 წამით და იქიდან მეხუთე დაბრუნდა. რბოლას თავში მიხაელი მოექცა, თუმც მხოლოდ რამდენიმე წუთით: მონტოიამ 33-ე წრეზე მაინც მიაღწია საწადელს და ისევ და ისევ იმ კილომეტრიან სწორზე უნაკლო მანევრით უკან მოიტოვა ოთხგზის ჩემპიონი. გერმანელს მალე ჰაკინენიც წამოეწია.

კვირას უილიამსელებს აშკარად არ სწყალობდათ ბედი. ზუსტად შუა დისტანციაზე ორივენი თითქმის ერთდროულად აღმოჩნდნენ თამაშგარე მდგომარეობაში — ჯერ რალფის ბოლიდი გასრიალდა ტრასიდან და ქვიშაში ჩარჩა, ორი წუთის შემდეგ კი ხუან პაბლოს ძრავა დაეწვა. 39-ე წრეზე ბოქსებში შუმახერის სტუმრობის (11,4) მერე ლიდერობა ჰაკინენმა [illegible] ხანში სხვაობა 26 წამამდე გაზარდა და მაშინღა ჩაიმატა საწვავი. შედარებით [illegible] პიტსტოპის (9,6) [illegible] მან პირველობა შეინარჩუნა, ხოლო ბარიკელოს მეორე საბოქსე მანიპულაციის შემდეგ ისიც ფინელის ზურგს უკან აღმოჩნდა. რუბენსმა, რომელიც ერთი კვირის წინ მამა გახდა და გამარჯვებაც გამორჩეულად ეწადა, ხუთწამიანი ჩამორჩენა კი გაანახევრა, მაგრამ მეტი აღარ დასცალდა. ფინიშამდე ხუთი წრით ადრე მის „ფერარის“ ძრავა აუბოლდა და ათიოდე კილომეტრიღა რჩებოდა, როცა სულაც გაჩერდა.

ვერც მიხაელი წამოეწია ლიდერს. ფინიშის ხაზი მან მიკაზე 11 წამით გვიან გადაკვეთა და იქვე ტრასაზე მიულოცა მეტოქეს წარმატება. ასე აშჩატებული ფინელი არასდროს გვინახავს — 33 წლის კაცი ლამის შუა გზაზე ამოხტა მანქანიდან და მერეც საკმაოდ იკუნტრუშა. კარიერაში მე-20 დიდი პრიზის მოგებით ჰაკინენმა საკუთარ თავს ჩინებული საჩუქარი უძღვნა: „გუშინ და დღეს ამდენი პრობლემის გამო უხასიათოდ ვიყავი და მოგების დიდი იმედიც, ცხადია, არ მქონია. ასეთ ვითარებაში გამარჯვება მართლაც ფანტასტიკა იყო. მართალია, წლეულს მხოლოდ ორი დიდი პრიზი მოვიპოვე, მაგრამ ამითაც გახარებული ვარ — ინგლისშიც და ამერიკაშიც ხომ პირველად მივაღწიე წარმატებას. რასაკვირველია, იაპონიაშიც მთელი ძალით ვიბრძოლებ. მერე კი... არ ვიცი, რა ხნით ვტოვებ რბოლებს. შეიძლება ერთი წლით, იქნებ საერთოდაც, ვნახოთ.“

შუმახერს წლეულს უკვე 113 ქულა დაუგროვდა. ეს ერთ სეზონში ქულების რეკორდია და ძველ მიღწევას, რომელიც თავად მიხაელსა და 1992 წლის მსოფლიოს ჩემპიონს ნაიჯელ მენსელს ეკუთვნოდათ, ხუთით აჭარბებს.

დაბოლოს, ნაკლებად სასიამოვნოზე — იტალიელ იარნო ტრულის „ჯორდანში“ რბოლის შემდეგ კომისრებმა კონსტრუქციული დარღვევა აღმოუჩინეს. კერძოდ, მანქანის ძირში ფირფიტა დასაშვებზე თხელი იყო. ამის გამო ტრულის მეოთხე ადგილი და საამისო სამი ქულაც ჩამოართვეს. შედეგად, ირვინმა, ჰაიდფელდმა და ალეზიმ თითო ადგილით წაიწიეს წინ. ასე მოულოდნელად იშოვა ქულა თავის ზესაიუბილეო, მეორასე(!) რბოლაში 37 წლის ჟან ალეზიმ.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

**აშშ-ის დიდი პრიზი**

30 სექტემბერი. ინდიანაპოლისი

დისტანცია — 73 წრე — 306,016 კმ

| | |
|---|---|
| 1. ჰაკინენი (მაკლარენი) | 1:32.42,840 (188,038 კმ/სთ) |
| 2. მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 11,046 |
| 3. კულჰარდი (მაკლარენი) | 12,043 |
| 4. ირვინი (იაგუარი) | 1.12,434 |
| 5. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1.12,996 |
| 6. ალეზი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 7. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 წრით |
| 8. ბატონი (ბენეტონი) | 1 წრით |
| 9. ფრენცენი (პროსტი) | 1 წრით |
| 10. პანი (BAR) | 1 წრით |
| 11. დე ლა როსა (იაგუარი) | 1 წრით |
| 12. ბერნოლდი (ეროუსი) | 1 წრით |
| 13. ენგე (პროსტი) | 1 წრით |
| 14. ბარიკელო (ფერარი) | 2 წრით |
| ტრული (ჯორდანი) — დისკვალიფიკაცია | |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ვილნევი (BAR) | გაიარა 47 წრე |
| ფერსტაპენი (ეროუსი) | 45 |
| იონგი (მინარდი) | 41 |
| მონტოია (უილიამსი) | 38 |
| ალონსო (მინარდი) | 37 |
| რ. შუმახერი (უილიამსი) | 36 |
| რაიკონენი (ზაუბერი) | 3 |

**საუკეთესო წრე**

მონტოია 1.14,488

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | 6 | - | 10 | 10 | 3 | 6 | | 113 |
| 2 კულჰარდი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | 4 | 3 | - | - | 4 | 6 | - | 4 | | 61 |
| 3 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | 2 | 4 | 4 | 6 | 6 | 2 | 6 | - | | 54 |
| 4 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | 3 | 6 | - | 10 | 3 | - | 4 | - | | 48 |
| 5 ჰაკინენი (მაკლარენი, ფინეთი) | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | 1 | - | 10 | - | 2 | 3 | - | 10 | | 34 |
| 6 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | - | 3 | - | - | - | 10 | - | | 25 |
| 7 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | - | 1 | 1 | - | 1 | - | - | 2 | | 13 |
| 8 ვილნევი (BAR, კანადა) | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | - | - | - | 4 | - | - | 1 | - | | 12 |
| 9 ტრული (ჯორდანი, იტალია) | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | 2 | - | - | - | - | - | - | | 9 |
| 10 რაიკონენი (ზაუბერი, ფინეთი) | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | - | - | 2 | - | - | - | - | - | | 9 |

ფიზიკელა (ბენეტონი) — 8; ირვინი (იაგუარი) — 7; ფრენცენი (პროსტი), ალეზი (ჯორდანი) — 6; პანი (BAR) — 5; დე ლა როსა (იაგუარი) — 3; ბატონი (ბენეტონი) — 2; ფერსტაპენი (ეროუსი) — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბრაზილია | სან მარინო | ესპანეთი | ავსტრია | მონაკო | კანადა | ევროპა | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | აშშ | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | 12 | 14 | 10 | 6 | 16 | 12 | 9 | 6 | | 167 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | 5 | 3 | 10 | - | 6 | 9 | - | 14 | | 95 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | 9 | 6 | 3 | 10 | 3 | - | 14 | - | | 73 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | - | 1 | 3 | - | 1 | - | - | 2 | | 22 |
| 5 ჯორდანი | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | - | - | - | - | 2 | - | - | - | 1 | - | 1 | | 17 |

BAR — 17; ბენეტონი, იაგუარი — 10; პროსტი — 4; ეროუსი — 1 ქულა.

საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი. III ტური

# შეხვედრის ადგილი უცვლელია, დრო კი შეცვლილი

თბილისი. ავლაბარი. 30 სექტემბერი

**ლოკომოტივი 23:21 დათვები**

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, კოტრიკაძე, კვინიხიძე, სარიშვილი; მაჭუტაძე, ცხადაია, კერესელიძე, ცხომელიძე, მზარეულაშვილი (კ. ჭელიძე), გ. სვანიძე, გ. გიორგაძე, მაისურაძე

**3ლ:** გ. სვანიძე, ანდღულაძე (2); **სგ:** ანდღულაძე; **2ს:** კვინიხიძე

**დათვები:** დავლაძე, სვინტრაძე, ხონელიძე, კაპანაძე, შავაძე, კიკნაძე, ხელაძე; შენგელია (მოქია), ღლონტი, ნინიძე, ფხაკაძე, რ. ბერიძე, ი. სვანიძე, ჩირგაძე, კობახიძე

**7ს:** კობახიძე

**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი

**მეთვალყურე:** გია კარკაძე

ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა განახლებულ ჩემპიონატს. მსაჯობის მარადმწვანე პრობლემაზე რომ არაფერი ვთქვათ, იყო შემთხვევა, როდესაც მეტოქეებს მოედანი დაუხაზავი დახვდათ. ახლა კიდევ კლუბებმა და კავშირმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და მატჩის დაწყების დრო ვერ შეათანხმეს.

მეორე ეტაპის მესამე ტურში თბილისში „ლოკომოტივი" გათამაშების ლიდერს ავლაბრის სტადიონზე მასპინძლობდა. შეხვედრამდე ერთი დღით ადრე რაგბის კავშირში დაგვიდასტურეს, რომ მატჩი კვირას ექვს საათზე დაიწყებოდა, მაგრამ დათქმულ დრომდე კარგა ხნით ადრე სტადიონზე ალაღებზე მისულს უკვე ოციოდ წუთის დაწყებული დამხვდა. ჩემნაირი იქ კიდევ ბევრი აღმოჩნდა და როდესაც საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორ მიხეილ რობიტაშვილს მიზეზის თაობაზე დავეკითხეთ, პასუხი მოკლე და ლაკონიური იყო — მეც ასე ვიცოდი, კლუბებმა შეცდომაში შეგვიყვანესო. ეტყობა, იგივე მდგომარეობაში იყო მთავარი მსაჯი გია ჯავახიშვილიც. თურმე გუნდებს მოულაპარაკიათ, ოთხ საათზე ვითამაშოთო, ჯავახიშვილი არ იყო ინფორმირებული ამის თაობაზე და შეხვედრის ადგილზე მხოლოდ ხუთის ნახევარზე გამოცხადდა. კიდევ უფრო დაგვიანებით მოვიდნენ გვერდით მსაჯებიც. ბუნებრივია, გუნდები მათ არ დალოდებიან და შემცვლელიც უმალ გამოძებნეს. მთავარი მსაჯის ასისტენტობა მატჩის საყურებლად მისულმა ორმა მორაგბემ ითავა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თქვენმა მონა-მორჩილმა ოდენ პირველი ტაიმის შუაწელს მიუსწრო. ამ დროისთვის ანგარიში 12:9 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. რკინიგზელებს — გიორგი სვანიძის და ნონო ანდღულაძეს ორი ლელო გაეტანათ სტუმრებისთვის, ამას მეორე ლელოს ავტორმა გარდასახვაც დაურთო. სტუმრებს თავიანთი ახალი ლიდერის, კახა კობახიძის სამი საჯარიმოთ ეპასუხათ. სხვათა შორის, ტრიბუნებზე ბევრს საუბრობდნენ ნონო ანდღულაძის გარდასახვაზე, ახალგამომცხვარ გვერდით მსაჯ ჯაბა კიზირიას ალამი არ აუწევია, რაც ნიშნავს რომ ბურთი კარში არ გასულა, მაგრამ გია ჯავახიშვილს გოლი დაუფიქსირებია, რასაც მითქმა-მოთქმაც მოჰყოლია. შედეგად „უნივერსიტეტის" მორაგბე ჯაბა კიზირიას თავისი უფლებამოსილება ასკ-ის ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელ გოჩა აბაშიძისთვის გადაულოცავს.

ერთი სიტყვით, მიზეზთა გამო შეხვედრა ძალიან დაიძაბა, ამას მეტოქეების ერთმანეთის მიმართ არცთუ „ტკბილი" დამოკიდებულება დაუმატეთ და მატჩს ინტრიგა ახლდა, მეტი რომ არ შეიძლება.

საბრძოლო შემადგენლობისთვის მოეყარა თავი თემურ ბენდიაშვილს, თუმც „ლოკომოტივის" რაზმს ოპტიმალურს ვერ ვუწოდებთ. ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა მორკინალი ზურაბ მოგელაძე. მართალია, იგი სათადარიგოებში იყო, მაგრამ თამაშს ვერიდები, ვარჯიშზე ხერხემალი წამომტკივდაო, გვითხრა რკინიგზელმა. არ ჩანდა მეორეხაზელი გიორგი კახიანი, რომელიც ახლახან დაქორწინდა და რაგბისთვის ჯერ არ ცხელა.

რკინიგზელებისაგან განსხვავებით, სასურველი შემადგენლობით ეწვია „დათვები" დედაქალაქს. მეტიც, ზღვისპირელთა რიგებში გამოჩნდა რაგბიში დაბრუნებული ექსბორჯღალოსანი კახა კობახიძე და კახა მაჩიტიძის წასვლის შემდეგ გუნდის უდავო ლიდერად მოგვევლინა.

ვერ გეტყვით, ვის ჰქონდა უპირატესობა მანამდე, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო ოცი წუთი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ორივე გუნდი ცდილობდა, ხიფათი შეექმნა, მაგრამ რეალურ სალელოე მომენტამდე საქმე არ მისულა. აქედან რომ არაფერი გამოვიდა, მეტოქეებმა საჯარიმოების ქულებში გარდასახვა გადაწყვიტეს. წელმტკივანმა ბობა კვინიხიძემ საჯარიმოს ნიშნულიდან სამი ქულა მოინადირა, თუმცა კახა კობახიძემ მალევე უპასუხა შორი მანძილიდან. ამის შემდეგ თამაში ჩაწყნარდა. მოედნის ცენტრში მიმდინარე მოვლენები ორმხრივი შეცდომებით აღინიშნებოდა. ხან ფორვარდები თამაშობდნენ უფხოდ, ხანაც მცველები ყოჩაღობდნენ.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდმა ტემპს უმატა და შეხვედრაც გამოცოცხლდა. „დათვებმა" თამაშის დალაგება სცადეს და შეტევის ორგანიზებაც დაიწყეს, მაგრამ სტუმართა კომბინაციებს იოლად უმკლავდებოდნენ რკინიგზელები. ძალიან მოისუსტებდნენ ზღვისპირელთა ფლანგები, რომლებიც ვერანაირ ხიფათს ვერ უქმნიდნენ მასპინძელთა დაცვას. მეტოქის უილაჯობის ფონზე გააქტიურდა „ლოკომოტივი", შტატიანმა დამრტყმელმა ბობა კვინიხიძემ მეორედ ჩაჭედა ოვალური ბურთი „დათვების" კარში, ამას ცოტა ხანში არეკნი მოაყოლა, თუმც უზუსტოდ. ზღვისპირელები კვლავ განაგრძობდნენ ქაოტურ შეტევებს, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, არ ნებდებოდა კობახიძე, ვინც თავის გამოცდილებით და ოსტატობით გვარიანად ანერვიულებდა მასპინძლებს. „დათვების" დამრტყმელმა ორჯერ საკმაოდ შორიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო, იქ მყოფ გულშემატკივარს ტაში მოსწყვიტა. ანგარიში განათაბრდა — 18:18. ცხადი იყო, სტუმრები ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდნენ, რაც დაამტკიცლა კიდეც კობახიძემ. ბათუმელთა მე-8 ნომერმა კიდევ ერთხელ მოიქნია მარჯვენა და წინ პირველად ამ მატჩში სტუმრები გავიდნენ. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ანერვიულდა თემურ ბენდიაშვილი. რკინიგზელთა თავკაცმა მოედანზე მძიმე ფორვარდი კახა ჭელიძე შეუშვა, თვითონ კი მოედნის საპირისპირო კიდეზე გადაინაცვლა და იქიდან მოძღვრავდა შეგირდებს. ცხარობდა ლევან მგელაძე: „დათვების" დამრიგებელი მსაჯობით იყო უკმაყოფილო და ხშირად ამას არცთუ კორექტულად გამოხატავდა.

„ლოკომოტივმა" ძალები მოიკრიბა და უკანმოუხედავად ეკვეთა მეტოქეს. რკინიგზელთა შეტევის პირველი ფაზის შეჩერებას უბერებელი თამაზ ფხაკაძის წარბი ემსხვერპლა. შეტევის მეორე ტალღას კი წინ ვერავინ აღუდგა. ნონო ანდღულაძემ თავის ფლანგზე გაინავარდა და მეორე ლელო მიითვალა. კვინიხიძემ ვერ გარდასახა. „დათვები" ბევრს ეცადნენ, მატჩი გადაერჩინათ, მაგრამ უგერგილო იერიშებით ვერას გახდნენ. კობახიძეს კი ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში უმუხთლა მიზანმა, მისმა დარტყმულმა კარს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

ნამატჩევს ძალიან ბრაზობდა „დათვების" მთავარი მწვრთნელი **ლევან მგელაძე:** „ის, რაც მსაჯმა გააკეთა, ჩემპიონატის დამცირება და პირადად ჩვენი კლუბისადმი აშკარა აგრესიაა. ასე გაგრძელება არ შეიძლება. რატომ არ იცოდით, რომ მატჩი ოთხ საათზე უნდა დაწყებულიყო?! იმიტომ, რომ კავშირში უთავბოლოდ აკეთებენ საქმეს. დავუნიშნავ მეც თბილისურ კლუბებს თამაშს ექვს საათზე და ვნახავთ, როგორ წამოვლენ იმ დღეს თბილისში". ლევან მგელაძე მთავარ მსაჯ გია ჯავახიშვილსაც შემოსწყრა და მას თავის სიმართლეს უმტკიცებდა. ჯავახიშვილმა მასთან კამათს თავი აარიდა და მალევე გაეცალა იქაურობას.

ლევან მგელაძემ კამათი „ლოკომოტივის" თავკაცთან განაგრძო, თუმცა მათი საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ***თემურ ბენდიაშვილი:*** „ძალიან დაძაბული მატჩი იყო, საშინელი მსაჯობით. არბიტრი ორივე მხარეს უსამართლოდ აჯარიმებდა. ვერ ვიტყვი, რომ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ სამი ლელო რაღაცას ნიშნავს. თანაც „დათვებს" ფაქტობრივად მომენტი არ ჰქონიათ, ყველა ჯარიმა შორიდან დაარტყეს. ესე იგი ლელოს გატანის შანსი არ ჰქონდათ".

**ბაჩო სვანიძე**



ნუგზარ კოლიმაძის ფოტო

„ლოკომოტივი" — „დათვები". რკინიგზელმა ნონო ანდღულაძემ დათვი გიორგი შავაძე წააქცია და ბურთიც წაართვა

ქუთაისი. დინამო. 30 სექტემბერი

**აია 22:6 ყოჩები**

**აია:** სორდია, ნამჩევაძე, ლილუაშვილი, ზვიადაძე, თ. ამზეთი(?), 8. ხელაძე, გ. გიორგაძე; კომლიანი (ფოფხაძე), ცინთილაძე, კეპულაძე (დ. ბალანჩივაძე), კოსტავა (გაბუნია), მინაძე (ნემსაძე), ტორაძე (ქოლაძე), ყურაშვილი, საყვარელიძე

**2ლ:** ხელაძე, ნამჩევაძე; **4ს:** ზვიადაძე;

**ყოჩები:** კობერიძე, გრუტკო, გიორხელიძე, ტრაპაიძე, ციბაძე (კახაძე), ს. ლიპარტელიანი, კრეპსი (ზ. შენგელია); ჩიქავა (გეჯაძე), გულუხია, ფირიაშვილი, ხურცილავა, ჩაკვეტაძე, ზესაშვილი (ვაშაყმაძე), კ. მხეიძე, ს. ჭელიძე

**2ს:** გიორხელიძე

**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი

**მეთვალყურე:** ზურაბ ხარშილაძე

გაუმართლა უქმეებზე რაგბის მოყვარულთ, ორი თამაში იხილეს „დინამოზე". ჯერ იყო და შაბათს ქუთაისური რაგბის 35-ე წლისთავთან დაკავშირებით ადგილობრივი და დედაქალაქელი ვეტერანები გაეჯიბრნენ მეგობრულად. „ბებერ ხართა" შებმა მოედანზე უფრო სიმბოლური გახლდათ, რადგანაც ჩანდა, „მესამე ტაიმისათვის" ზოგავდნენ ძალებს...

კვირას კი ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში „აიამ" თავის კონკურენტ „ყოჩებს" უმასპინძლა და ქომაგთა გასახარად სეზონში მეორედ დაჯაბნა.

პირველი ტაიმი ძალისმიერ ბრძოლაში გაილია და ფრით დასრულდა — 6:6. გიორგაძის ზუსტ საჯარიმოებს ზუსტივე დარტყმებით უპასუხა გიორხელიძემ.

თამაშის განახლებისთანავე ქუთაისელებმა ლაღად შეუტიეს და ზვიადაძემ ორჯერ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო, ხოლო შუა ტაიმში მასპინძლებმა მარჯვენა ფრთაზე სწრაფად გაშალეს მარაო, ხელაძემ ფეხით გაიგდო ბურთი წინ და მერე „ყოჩების" ლელოში დაამიწა. ამის შემდეგ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. მათ რამდენიმე ჯარიმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ გიორხელიძემ ყველა შემთხვევაში ბურთის გათამაშება ამჯობინა. სხვა ხერხით ანგარიშში სხვაობის შემცირებას კი საშველი არ დაადგა. პირიქით, ქუთაისელებმა კონტრშეტევაზე დაიჭირეს მეტოქე და ნამჩევაძემ ლელოთი კიდევ უფრო დააწინაურა თავისიანები.

ამ გამარჯვებით „აიამ" ორი ქულით გაუსწრო „ყოჩებს" და მესამე ადგილზე გასვლის ჩინებული შანსიც გაუჩნდა. შეგახსენებთ, თუკი ორ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდა, უპირატესობა ჩემპიონატის დაწყებიდან ურთიერთშეხვედრებში საუკეთესო მაჩვენებლის მქონეს მიენიჭება. ამ მაჩვენებლით კი ჯერჯერობით „აიაა" წინ, თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქუთაისელებს „ყოჩებთან" სტუმრობა უწევთ.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 13 | 10 | 0 | 3 | 293:163 | 20 |
| ლოკომოტივი | 13 | 9 | 0 | 4 | 363:170 | 18 |
| აია | 13 | 7 | 0 | 6 | 193:193 | 14 |
| ყოჩები | 13 | 6 | 0 | 7 | 344:129 | 12 |



ნუგზარ კოლიმაძის ფოტო

„ლოკომოტივი" — „დათვები". ბობა კვინიხიძე (ბურთით) მეტოქის მარწუხებიდან დაძრომას ლამობს


## განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე. მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენსა და მაკრამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას. სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან და ზემოთ.

მისამართი: დავით აღმაშენებლის 68.
ტელ: 95 48 57, 92 03 96

## ვუელტა 2001

# სანამ ელ ნინიო გაიზრდება



REUTERS აბანტოსიდან

იტალიელი ჯილბერტო სიმონი ესპანელ ლამაზმანთა გარემოცვაში

**დასრულდა** „ვუელტა 2001“. დასრულდა მადრიდის ინდივიდუალური რბოლით და ლოგიკის შესაბამისად. ანუ მოიგო ერთ-ერთმა ფავორიტმა. თუმცა, სანამ კასეროს ჩემპიონობაზე რამეს ვიტყვით, მანამ ბოლო ეტაპებს მივხედოთ.

კუენკადან გვადალახარასკენ მიმავალი გზა ბოლო სწორი ეტაპი იყო და ამიტომ პელოტონში შემორჩენილ სპრინტერებს ბოლო ბრძოლა აქ ელოდათ. წვიმა და სიგრილე (+16 გრადუსი) ამ ბრძოლას მეტად ამძიმებდა. პელოტონი სიცივის დასაძლევად უსწრაფესად დაიძრა და გაქცევის შანსი შესაბამისად არავის მისცემია. 20-ე კილომეტრზე მილარმა, ჰანტერმა, ტონტიმ, ჩიონიმ, გარსია კალვომ და კომესომ შეძლეს წინ წასვლა, მაგრამ 22-23 წუთში პელოტონი დაეწიათ, რომელმაც საწყის საათში 51 კილომეტრის გავლა მოასწრო.

ცოტა ხნის მერე 11 მრბოლი დაწინაურდა, რომლების დევნაც უმალ გამოცხადდა. თუმც ლტოლვილები მშვენივრად ურთიერთთანამშრომლობდნენ და მეტოქეებსაც მალე დაუკარგეს დევნის ხალისი. 20 კილომეტრის შემდეგ მათმა უპირატესობამ 8 წუთს გადააჭარბა, გვადალახარამდე 63 კილომეტრით ადრე კი 15 წუთსა და 15 წამს უწია.

რა თქმა უნდა, ეს შეტევა უკვე შეიძლებოდა, წარმატებულად ჩათვლილიყო, მაგრამ კონკრეტულად ვის დარჩებოდა გამარჯვება? ამის გასაგებად ორჩის მთა გამოდგებოდა, რომელიც მესამე კატეგორიის სიძნელისაა. რამდენიმე იერიშის შემდეგ მწვერვალამდე ლტოლვილთა ჯგუფს სამი წევრი გამოაკლდა.

დაღმართზე წვიმამ ელი, კროონი, ვიკარიო და ფლორესიც ჩამოტოვა და მხოლოდ ოთხი მრბოლიღა დარჩა სათავეში. ბოლოს ტრენტიმ სპრინტი ძალიან ადრე წამოიწყო, მის გასავათებულ კომპანიონებს გაბრძოლებაც არ უცდიათ და იტალიური წარმოშობის ამერიკელმაც იოლად გაიხარა.

შაბათს წლევანდელი „ჯიროს“ ჩემპიონმა ჯილბერტო სიმონიმ ბოლო მთიანი ეტაპი სპრინტში ააცალა ცხვირწინ უკვე სამი ეტაპის მომგებ ხოსე-მარია ხიმენესს. საერთო ჩათვლის მოწინავენი ამ დუეტზე 15 წამით გვიან მივიდნენ ფინიშზე, თან ერთმანეთისთვის არაფრით უჯობნიათ და ოქროსფერი მაისურას ბედის გადაწყვეტა კვირისთვის გადადეს.

ერთი მესამე კატეგორიის სიძნელის მთისა და აბანტოსის (პირველი კატეგორია) ერთხელ დაძლევის შემდეგ პელოტონი ალტო დე აბანტოსს მეორედ მიადგა და სარაბეიტიამ, ვირანკმა, ლამურმა და ბარანოვსკიმ დასხლტომაც სცადეს, თუმც ამაოდ.

აღმართისას სიმონიმ და ხიმენესმა შეუტიეს და მწვერვალამდე შუა გზაზე საკმაო უპირატესობაც მიიღეს. მათი მიყოლა, დიდი ცდის მიუხედავად, ვერ შეძლეს მიოლერმა, პელიზოტიმ და აიტორ ოსამ. ფავორიტებიდან შარშანდელი ჩემპიონი რობერტო ერასი გაიქაჩა რამდენჯერმე, მაგრამ კასეროს თანაგუნდელებმა, ლუის პერესმა და დავიდ პლასამ, მას გაქცევის შანსი არ მისცეს.

მეტოქეზე უკეთესმა მთიელმა ოსკარ სევილიამაც არაერთხელ აუჩქარა, მაგრამ კასერო ვერც ამან დაჩაგრა. მეტიც, ფესტინელი ხშირად ფავორიტთა ჯგუფის სათავეშიც იდგა რბოლის უკეთესად გასაკონტროლებლად.

„რაც შემეძლო, ვცადე, მაგრამ ვერაფრით გავტეხე“ — თქვა სევილიამ, რომელიც ხვდებოდა, ოქროსფერ მაისურას ვერ შეინარჩუნებდა, თუმცა იმედი მაინც ჰქონდა, იგი ფრთებს შემასხამსო, გაიძახოდა.

ბოლო ეტაპი მადრიდის ქუჩებში გაიმართა. „მიდი, მამა! აჯობე!“ — უყვიროდა სტარტამდე კასეროს თავისი 4 წლის ვაჟი ალვარო, რომელიც ფესტინელის გამარჯვების შემდეგ პოდიუმზე მასთან ერთად აძვრა. კასერომ სევილიას 1 წუთი და 12 წამი მოუგო და: „ეს ჩემი კარიერის უდიდესი მიღწევაა. წლების მანძილზე მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, დიდი ტურნირიც მოვიგე. უზომოდ ბედნიერი ვარ“ — თქვა კასერომ, ვისაც 1994 წლის „მომავლის ტურის“ შემდეგ ღირსშესანიშნავი გამარჯვება აღარ მოუპოვებია.

ვალენსიელმა, რომელსაც მიგელ ინდურაინისა და პედრო დელგადოს ერთ-ერთ სავარაუდო მემკვიდრედ თვლიდნენ, 29 წლისამ შეძლო ასეთი დიდი წარმატების მიღწევა. ეს უდავოდ 7 „ვუელტასა“ და 3 „ტურზე“ დაგროვილი გამოცდილების ნაყოფია.

„წლების განმავლობაში იძენ გამოცდილებას, რომელიც გკარნახობს, გადამწყვეტი ინდივიდუალური რბოლისას სად ააჩქარო და სად თავი შეიკავო. როცა მეათე კილომეტრზე მითხრეს, რომ სევილიას ვერაფრით ვჯობდი, არ ავნერვიულებულვარ, ვიცოდი, წამებს ნელ-ნელა მაინც მოვიგებდი“ — განაცხადა კასერომ. იგი ეტაპის მოსაგებად არც გარჯილა და კოლუმბიელ სანტიაგო ბოტეროს პირველობაში სხვაც ვერავინ შეეცილა.

სამაგიეროდ, კასერომ სევილიას საჭირო რაოდენობის წამები აართვა და ისე გახდა „ვუელტას“ ჩემპიონი, ერთი ეტაპიც არ მოუგია და ოქროსფერი მაისურა ერთ დღესაც არ სცმია.

25 წლის სევილია, რომელიც წლეულს „ტურის“ საუკეთესო ახალგაზრდა გახდა, მარცხს გაგებით მოეკიდა. „მაინც მოხარული ვარ, რადგან მშვენიერი „ტურის“ შემდეგ ბრწყინვალე „ვუელტა“ გამომივიდა. ეს კი ნიშნავს, რომ წლებთან ერთად დიდი გამარჯვებებიც მოვა“ — თქვა „ელ ნინიომ“, ანუ „პატარამ“.

**გაგი გურული**



REUTERS მადრიდიდან

ანხელ კასერო ჩემპიონობისკენ მიჰქრის

### მეცხრამეტე ეტაპი

კუენკა — გვადალახარა, 168 კმ

1. გვიდო ტრენტი (აშშ, კანტინა ტოლო) 3სთ 49წთ 34წმ
2. მიკელ სარაბეიტია (ესპანეთი, ონსე) +26წმ
3. ალექსანდრ შეფერი (ყაზახეთი, ალესიო) +2
4. ხოსე გარსია აკოსტა (ესპანეთი, ბანესტო) +10
5. კარსტენ კროონი (ჰოლანდია, რაბობანკი) +44

### მეოცე ეტაპი

გვადალახარა — აბანტოსი, 176,3 კმ

1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) 4სთ 25წთ 09წმ
2. ხოსე-მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) +2
3. ხოსე რუბიერა (ესპანეთი, პოსტალი) +15
4. კლაუს მიოლერი (დანია, მილანეზა)
5. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე)
6. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა)
7. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი)
8. ლევი ლეფჰემერი (აშშ, პოსტალი)
9. აიტორ ოსა (ესპანეთი, ბანესტო)
10. ხოსე მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) ყველას იგივე დრო

### ოცდამეერთე ეტაპი

მადრიდი, ინდ. რბოლა, 38 კმ

1. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) 45წთ 33წმ
2. ლევი ლეფჰემერი (აშშ, პოსტალი) +14
3. დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი, კოფიდისი) +37
4. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +45
5. კლაუს მიოლერი (დანია, მილანეზა) +56

### საბოლოო ჩათვლა

1. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) 70სთ 49წთ 05წმ
2. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) +47
3. ლევი ლეფჰემერი (აშშ, პოსტალი) +2წთ 59
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +3წთ 56
5. ხოსე მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +5წთ 45
6. დავიდ პლასა (ესპანეთი, ფესტინა) +5წთ 53
7. ხოსე რუბიერა (ესპანეთი, პოსტალი) +6წთ 57
8. კლაუს მიოლერი (დანია, მილანეზა) +7წთ 13
9. აიტორ ოსა (ესპანეთი, ბანესტო) +8წთ 32
10. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კოასტი) +10წთ 31



# ესპანეთმა ნალბანდიანი მაინც მოიწონა

პალერმო (იტალია)
„საერთაშორისო სერია“
თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

**მეოთხედფინალი. ალბერტ პორტასი (3, ესპანეთი) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:3; ტომი რობრედო (4, ესპანეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:5); დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ალბერტ კოსტა (5, ესპანეთი) 6:4, 3:6, 7:5; ფელიქს მანტილია (ესპანეთი) — მარიო საბალეტა (არგენტინა) 6:0, 2:0 (საბალეტამ თამაში შეწყვიტა)**

**ნახევარფინალი. მანტილია — პორტასი 2:6, 7:6 (7:4), 6:3; ნალბანდიანი — რობრედო 6:2, 7:6 (7:4)**

**ფინალი. მანტია — ნალბანდიანი 7:6 (7:2), 6:4**

რჩეულმა იტალიელმა მეჩოგნეებმა ვერ მოიცალეს პალერმოში გასულ კვირას გამართული ტურნირისთვის, სიცილიური თიხნარის დაპყრობას კი ესპანელები შეუდგნენ. საბოლოოდ ტურნირის გამარჯვებისთვის განკუთვნილი თასი და 54 ესპანელ ფელიქს მანტილიას დარჩა და საერთოდ, აპენინებს მეზობელი პირინეის ნახევარკუნძულიდან ესპანელ მოთიხნარეთა მოზრდილი ლეგიონი ეწვია. რვა განთესილიდან ექვსი სწორედ მეფე ხუან კარლოსის ქვეშევრდომი გახლდათ და ჩოგბურთის სიცილიელ ქომაგებს იქნებ წმინდა ესპანური ფინალიც ენახათ, მაგრამ საქმეში სერიოზულად ჩაერივნენ არგენტინელები.

არგენტინელმა მარიო საბალეტამ ბევრი იბორგა, პირველ წრეში როლან გაროსის ორჯერ მომგები სერხი ბრუგერა გააგდო, მომდევნო წრეში კი მას პალერმოში პირველ ნომრად განთესილი და უპირველესი ფავორიტი ალექს კორეჩაც მიაყოლა. ესპანელთა გასახარად, საბალეტას ტრავმამ შეუშალა ხელი, რათა მომდევნო ესპანელს, ფელიქს მანტილიას მთელი ძალით დასჭიდებოდა. დაჭრილი საბალეტასგან არგენტინული დროშა 19 წლის დავიდ ნალბანდიანმა აიტაცა და ახლა ის დაერია ესპანელებს. ფინალში გასვლამდე ნალბანდიანმა ოთხი ესპანელი, მათ შორის მეორე, მეოთხე და მეხუთე ნომრად განთესილები გააგდო და ფინალშიც ესპანელს, საბალეტას მძლეველ მანტილიას შეეჭიდა, ვისაც აქამდე ორჯერ შეხვედროდა და ორჯერვე მოეგო. ბრძოლა ფიცხელი გამოდგა. მანტილიამ აჯობა საკუთარ თავს და ესპანურ-არგენტინულ ომში თანამემამულეთა სისხლი აიღო, ამ საქმისთვის კი 54 ათასი დოლარი მიიღო.

ჰონკონგი (ჩინეთი)
„საერთაშორისო სერია“
ჰარდი. საპრიზო 400 ათასი 4

**მეოთხედფინალი. რაინერ შუტლერი (გერმანია) — ხუან კარლოს ფერეირო (1, ესპანეთი) 6:3, 7:6 (8:6); მარსელო რიოსი (8, ჩილე) — სებასტიენ გროსჟანი (3, საფრანგეთი) 6:2, 6:3; ანდრე სა (ბრაზილია) — იონას ბიორკმანი (6, შვედეთი) 6:1, 6:3; ენდრიუ ილი (ავსტრალია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:3, 6:3**

**ნახევარფინალი. რიოსი — ილი 6:4, 6:2; შუტლერი — სა 6:4, 6:0**

**ფინალი. რიოსი — შუტლერი 7:6 (7:3), 6:2**

შანხაის და ჩინეთის მეორე „შვილის“, ჰონკონგის მიჯრით მოწყობილ ტურნირებს მსგავსი საპრიზო ფონდი კი აქვთ, მაგრამ ჰონკონგში 400 ათასი მწვანის მოზრდილი ნაწილისთვის „შანხაელებზე“ ბევრად ყოჩაღი ბიჭები ლვრიდნენ ოფლს. მაგალითად გერმანელი რაინერ შუტლერიც გამოდგება. ერთი კვირის წინ დამთავრებულ შანხაის ტურნირზე იგი მეორე ნომრად იყო განთესილი და აკი იქ ყველას აჯობა კიდეც, მაგრამ ჰონკონგში შეყრილ მეჩოგნეთა შორის მინიმუმ რვა მასზე უკეთესი გახლდათ და გერმანელიც განთესილთა შორის ვერ მოხვდა.

კი ვთქვით, შუტლერზე უკეთესები ბევრნი იყვნენო, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადად, რადგან ჩემპიონთა რბოლაში 49-ე ადგილზე მყოფმა შუტლერმა ჰონკონგში მასზე წინამდგომებზე მეტი ფხა გამოიჩინა, მასზე ბევრი „ზოგადად“ მჯობნი გააგდო და აკი ფინალსაც უწია. „ვინმეს ტურნირის დაწყებამდე რომ ეთქვა, ფინალში გახვალო, ვეტყოდი, დამცინი-მეთქი, ახლა კი, როცა ფინალში ვარ, ცხადია, მისი მოგება მინდა. კარგი იქნებოდა, ჩინური დუბლი შემესრულებინა“ — შუტლერი ფინალის წინ ოპტიმისტურად იყო განწყობილი და მატჩისას ძალ-ღონეც არ დაუშურებია გამარჯვებისთვის, მაგრამ ფინალი მერვე ნომრად განთესილ მარსელო რიოსს დაუთმო.

სამი წლის წინ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ახლა კი მუხლის ტრავმის გამო 51-ე საფეხურამდე ჩამოქვეითებულმა რიოსმა ტურნირში გამარჯვება სავსებით ბუნებრივ მოვლენად ჩათვალა და თქვა, ცხადია, მე უნდა მომეგოო. თან დააყოლა, პირველ ათეულში ყოფნის ღირსი ვარ, ჩემი დონის ჩოგბურთელი არ იმსახურებს ორმოცდაათეულს მიღმა ყურყუტსო.

ლაიფციგი (გერმანია)
„შპარკასენის თასი“
ხალიჩა. საპრიზო 565 ათასი $

**მეოთხედფინალი. კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — სილვია ფარინა ელია (5, იტალია) 6:1, 2:6, 6:4; ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 5:7, 6:2; ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:3; მაგდალენა მალეევა (6. ბულგარეთი) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:4, 6:3.**

**ნახევარფინალი. კლაისტერსი — დემენტიევა 6:1, 3:6, 6:1; მალეევა — ტოზია 4:6, 6:4, 6:3**

**ფინალი. კლაისტერსი — მალეევა 6:1, 6:1.**

დიაცთა შორის მსოფლიოს მეხუთე ჩოგან და პირველ ნომრად განთესილ კიმ კლაისტერს ლაიფციგში ბადალი არ ჰყოლია. მან ყველა დაჩაგრა და 90 ათასიც პატიოსნად ჩაიჯიბა. 18 წლის ბელგიელმა ფინალში ბულგარელი მაგდანელა მალეევა 6:1, 6:1 გაანადგურა, თუმც ნამატჩევს მაინც აქო მეტოქე, ძალიან ძლიერი და აგრესიული მოთამაშეა და დღესაც მშვენივრად ირჯებოდა, თუმც, საბედნიეროდ, ჩემზე ოდნავ ცუდადო.


REUTERS ჰონკონგიდან

მარსელო რიოსს ჰონკონგში გამარჯვება, შამპანური და სიხარული ერგო

ბალი (ინდონეზია)
„ვისმილაკ ინტერნეიშენელ“
ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $

**მეოთხედფინალი. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (1, ესპანეთი) — რიტა გრანდე (5, იტალია) 6:7 (5:7), 6:4, 6:3; ანჟელიკ ვიჯაია (ინდონეზია) — ტამარინ ტანასუგარნი (2, ტაილანდი) 2:6, 7:5, 6:2; ჯოანეტ კრიუგერი (8, სამხრეთ აფრიკა) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 2:6, 6:2, 7:6 (7:5); სიუ-ვეი ჰსიე (ტაივანი) — შინობუ ასაგოე 6:1, 6:4.**

**ნახევარფინალი. კრიუგერი — სანჩეს-ვიკარიო 6:2, 4:6, 6:3; ვიჯაია — ჰსიე 6:4, 4:6, 7:6 (7:3).**

**ფინალი. ვიჯაია — კრიუგერი 7:6 (7:2), 7:4 (7:4).**

**ივანე ძოწიაშვილი**

TRACK ANTWERPEN, BEL WORLD CHAMPIONSHIPS : 2001

მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. ანტვერპენი (ბელგია)

# მთავარ როლში არნო ტურნანი



სპრინტის ჩემპიონი არნო ტურნანი (მარჯვნივ) და ფინალისტი ლორან განე

**გასულ** უქმეებზე ბელგიურ ანტვერპენში დასრულდა ველოტრეკის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის გმირიც უდავოდ არნო ტურნანი გახდა თავისი ოქროს მედლებით, რომელთაგან პირველი ჩემპიონატის პირველივე დღეს მოიპოვა ჰიტში. მერე მან ლორან განესა და ფლორიან რუსოსთან ერთად ოლიმპიურ სპრინტშიც იმარჯვა. სანამ ტურნანის მესამე მედალზე მოგითხრობთ, მანამდე ჯობს, თანმიმდევრობით მივყვეთ ჩემპიონატის მსვლელობას.

პარასკევ საღამოს სვეტლანა გრანკოვსკაიამ პირველად იჩემპიონა სპრინტში. ფინალში სლავმა 2:0 დაამარცხა ამერიკელი ტამი ტომასი. ბრინჯაოს მედალს კანადელი ლორი-ან მიუნცერი დაეპატრონა, რომელმაც ნახევარფინალში წაქცეულ უკრაინელ ირინა იანოვიჩს ორ რბოლაში აჯობა.

გრანკოვსკაიამ, ვინც შარშან მეექვსე ადგილზე გავიდა, ტიტული ბელარუს ნატალია მარკოვნიჩენკოს ჩამოართვა. ეს უკანასკნელი ბრძოლას მეოთხედფინალში წაქცევის შემდეგ გამოეთიშა. ფინალის პირველ რბოლაში რუსმა მეტოქე ბოლო წრის დაწყებისთანავე ჩამოიტოვა და ფინიშზეც გვარიანად მიასწრო. მეორე რბოლაში სლავი სულ წინ იყო და მოწინააღმდეგეს გასწრების არანაირი შანსი არ მისცა. 25 წლის გრანკოვსკაიამ რუსეთს 1994 წლიდან მოყოლებული ამ დისციპლინაში პირველი ოქრო მოუტანა. საინტერესოა, რომ შვიდი წლის წინ ასეთივე წარმატებისთვის გალინა ენიუხინას მიუღწევია, რომლის ქმარიც ამჟამად სწორედ გრანკოვსკაიას წვრთნის.

იმავე დღეს თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ გამოდევნებით რბოლაში ქალთა შორის ლეონტიენ ვან მორსელ-ზაილაარდი გახდა ჩემპიონი. 31 წლის ჰოლანდიელმა ფინალში რუს ოლგა სლიუსარევას მოუგო, რომლის თანამემამულე ელენა ჩალიხი აწ უკვე ყოფილი ჩემპიონის, ბრიტანელი ივონ მაკგრეგორის ძლევით პოდიუმის მესამე საფეხურზე ავიდა. ზაილაარდმა 1990 წელს იაპონურ მაებაშიში გაიმარჯვა, მას მერე კი მედალი ამ დისციპლინაში მხოლოდ სამი წლის წინ ბორდოშიღა მოიპოვა, ოღონდ ვერცხლის.

ფინალში ჰოლანდიელმა 3 კილომეტრის გავლას 3 წუთი და 34,505 წამი მოანდომა, რაც 4 წამით ნაკლები აღმოჩნდა სლიუსარევას შედეგზე. შეგახსენებთ, რომ ზაილაარდმა შარშან სიდნეიში გაიბრწყინა, სადაც გამოდევნებითი რბოლის ოქროს, ჯგუფური და ინდივიდუალური რბოლების (გზატკეცილზე) ოქროები დაამატა.

ქალებმა მედლების მესამე კომპლექტი შაბათს 500-მეტრიან ჰიტში გაითამაშეს. აქ ყველას ნენსი კონტრერასმა აჯობა და თავისი სამშობლოს ჰიმნი ველოტრეკის მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად ააჟღერა. 23 წლის მექსიკელმა დისტანცია 34,996 წამში გაიქროლა, ანუ მისი საშუალო სიჩქარე 51,434 კმ/სთ იყო. პირველი 250-მეტრიანი წრის შემდეგ იგი კანადელ მიუნცერს 0,42 წამს უგებდა. საბოლოოდ ამ უპირატესობიდან მხოლოდ წამის 16 მეასედის შენარჩუნება მოახერხა, მაგრამ ჩემპიონობისთვის ამანაც იკმარა. წინადღეს წაქცეული მარკოვნიჩენკო, რომელიც შარშან ჰიტშიც უძლიერესი გამხდარიყო, მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

გუნდურ გამოდევნებით რბოლაში უკრაინამ დიდ ბრიტანეთს მოუგო. სლავთა ოთხეულმა 4 წუთი და 9,699 წამი აჩვენა, რაც მეტოქისაზე 1,283 წამით უკეთესი შედეგი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ უკრაინა 1998 წელსაც პირველი იყო და იმდროინდელ გუნდში სიმონენკო და ფედენკოც ირიცხებოდნენ.

შაბათს ვაჟებს შორის ქულებზე რბოლა ჩატარდა, რომელიც შვეიცარიელი ბრუნო რისის წარმატებით დასრულდა. მოსაგებად მას სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონის, ესპანელი ხუან ლანერასის შეტევების გაუვნებლება დასჭირდა, რომელიც ერთი წრით გაქცევას ლამობდა. ლანერასის გარდა ფრანგი რობერ სასონიც ბევრს ეცადა ბოლო 20 წრის განმავლობაში, მაგრამ ვერც მან დააკლო რამე 1992, 1994 და 1999 წლების ჩემპიონს, 33 წლის რისის.

და მივადექით ტურნანსაც, რომელიც შაბათს პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში. პოდიუმი კი მთლიანად ფრანგული იყო. ეს 1987 წლიდან მოყოლებული ვერც ერთ ქვეყანას ვერ მოუხერხებია. მაშინ აღმოსავლეთგერმანელებმა — ჰესლიხმა, ჰიუბნერმა და ჰუკმა დაინაწილეს მედლები. ორი ფრანგი კი ფინალში 1967 წლის შემდეგ აღარ გასულა. 34 წლის წინ დანიელ მორელონმა ამსტერდამში პიერ ტრანტენს მოუგო.

23 წლის ტურნანი პირველი მრბოლი გახდა, ერთი და იმავე ჩემპიონატის დროს ჰიტიც რომ მოიგო და სპრინტიც. ფინალში ტურნანმა თანამემამულეს, ლორან განეს პირველი რბოლა დაუთმო, მაგრამ მერე ზედიზედ ორჯერ აჯობა. თავიდან განემ ბოლო წრის დასაწყისში შეუტია და საფინიშო სწორზე გაასწრო მეტოქეს. მეორე ხელში ტურნანი ბოლო მოსახვევში დაუსხლტა განეს, მესამეში კი საკმაოდ ადრე აჩქარა, მეტოქეს მიახლოების შანსი არ მისცა და მსოფლიოს ჩემპიონატების მეათე ოქრო მოიხვეჭა.

ქალთა შორის ქულებზე რბოლა ოლგა სლიუსარევამ მოიგო. 32 წლის რუსს 1933 წელს 200 მეტრის მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია (10,831 წმ) მოსკოვში. მან ანტვერპენში დისტანციის დაახლოებით ნახევრის გავლის შემდეგ სამ სხვა მრბოლთან ერთად ერთი წრით გაასწრო პელოტონს. ზაილაარდმა მეხუთე ადგილი დაიკავა. არადა, იგი აქაც ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ოთხეულის შეტევისას ველოგამოცვლილი პელოტონის კუდში იყო, მერე კი მოიერიშეებს ველარაფრით დაეწია.

კვირას საფრანგეთმა მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა, ოღონდ ამჯერად ტურნანის გარეშე. ჟერომ ნევილმა და რობერ სასონმა მედისონში ანუ ამერიკულ რბოლაში უახლოეს მდევრებს 1 წრით გაასწრეს. 240 წრის (60 კმ) დასაწყისშივე გაექცნენ ფრანგები პელოტონს, მერე კი ესპანელთა ბორბალში ჩამჯდრებმა სხვა გუნდების უმრავლესობას კიდევ ერთი წრე მოუგეს.

ჩემპიონატს უტრავმოდაც არ ჩაუვლია. კიერინის ფინალში ფრანგი ფლორიან რუსო დაეცა და იდაყვი და მხარი ისე დაიზიანა, საავადმყოფოშიც გადაიყვანეს. მასთან ერთად ლამის მთელი პელოტონი წაიქცა, მხოლოდ ორი შემორჩა ველოზე და ოქროც მათ გაითამაშეს — რაიან ბეილიმ ლორან განე დაჯაბნა, გერმანელი იენს ფიდლერი კი ბრინჯაოსთვის ფინიშის ხაზზე ფეხით გადავიდა.

**გაგი გვრული**



უიღბლო ფლორიან რუსო ტრეკიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს



ლეონტიენ ზაილაარდი

## ვაჟები

**გამოდევნებით გუნდური რბოლა**
1. უკრაინა (სერგეი ჩერნიავსკი, ალექსანდრ ფედენკო, ალექსანდრ სიმონენკო, ლიუბომირ პოლოტაიკო)
2. დიდი ბრიტანეთი (ბრედლი ვიგინსი, პოლ მენინგი, კრისტოფერ ნიუტონი, ბრაიან სტილი)
3. გერმანია (კრისტიან ბახი, გვიდო ფულსტი, იენს ლემანი, სებასტიან სიდლერი)

**სპრინტი**
1. არნო ტურნანი (საფრანგეთი)
2. ლორან განე (საფრანგეთი)
3. ფლორიან რუსო (საფრანგეთი)

**40 კმ ქულებზე**
1. ბრუნო რისი (შვეიცარია)
2. ხუან კურუჩეტი (არგენტინა)
3. ფრანც შტოხერი (ავსტრია)

**60 კმ მედისონი**
1. საფრანგეთი (ჟერომ ნოივილი, რობერ სასონი)
2. ესპანეთი (ისააკ გალვესი, ხოან ლანერასი)
3. არგენტინა (გაბრიელ კურუჩეტი, ხუან კურუჩეტი)

**კიერინი**
1. რაიან ბეილი (ავსტრალია)
2. ლორან განე (საფრანგეთი)
3. იენს ფიდლერი (გერმანია)

## ქალები

**სპრინტი**
1. სვეტლანა გრანკოვსკაია (რუსეთი)
2. ტამი ტომასი (აშშ)
3. ლორი-ან მიუნცერი (კანადა)

**გამოდევნებით რბოლა**
1. ლეონტიენ ზაილაარდი (ჰოლანდია)
2. ოლგა სლიუსარევა (რუსეთი)
3. ელენა ჩალიხი (რუსეთი)

**500 მ ჰიტი**
1. ნენსი კონტრერას რეიესი (მექსიკა)
2. ლორი-ან მიუნცერი (კანადა)
3. კატრინ მაინკე (გერმანია)

**24 კმ ქულებზე**
1. ოლგა სლიუსარევა (რუსეთი)
2. კეტრინ ბეიტსი (ავსტრალია)
3. ბელემ გერერო მენდესი (მექსიკა)

## გუნდური მონაგარი

| | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 2 | 1 |
| რუსეთი | 2 | 1 | 1 |
| უკრაინა | 2 | - | - |
| ავსტრალია | 1 | 2 | - |
| მექსიკა | 1 | - | 1 |
| ჰოლანდია | 1 | - | - |
| შვეიცარია | 1 | - | - |
| გერმანია | - | 2 | 4 |
| არგენტინა | - | 1 | 1 |
| კანადა | - | 1 | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | - | 1 | 1 |
| ესპანეთი | - | 1 | - |
| აშშ | - | 1 | - |
| ავსტრია | - | - | 1 |
| პოლონეთი | - | - | 1 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge